№ 2760
პარასკევი,
4 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2760
პარასკევი,
4 მარტი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიხსენიონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კ.-პ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
პ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. ულიხი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
მ. დ. ლამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვების: 12—1 ს.
ქ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობიარო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ავადმყოფის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შინაგანის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—26)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—27)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—11)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—49).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, აპტეკის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

განცხადება
შავი-ქვის მრეწველთა საბჭო აცხადებს, რომ მას სჭირია ჭიათურის სავადმყოფოში იყოლიოს **ბებია ქალი, მცოდნე ქართულის ენისა.** მსურველთ ამ ადგილის დაჭერისა საბჭო სთხოვს მომართონ ქუთაისს, საბჭოს სახელზე. (3—6.—2)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი“
შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი ან ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბგ—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ოფიციალური ცნობები

I.

ომიანობის დროის წესები

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება: 1. შემოღებულ იქნას საომარ დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროს ჯარის უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოდ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისთვის განსაკუთრებლად დანიშნულ კაცს იმ პირობით-კი, რომ მთავარ-მართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო-აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლად, წინადადებას ვაძლევ გენერალ-მაიორს ალიხანოვს შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებულ იქმნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს შესაფერი უფლებანიც.

მთავარ-მართებლის თანაშ. ალმ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

II

სავალდებულო დადგენილება

კავკასიის იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია გამოცხადებული, სახელმწიფო წეს-რიგის და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად, საჭიროდ ვცან შემოღებულ იქმნას შემდეგი წესები:

1. ვინც სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში სხვას მუშაობაზე ძალით ან მუქარით ხელს აალებინებს, იგი ადმინისტრატიულის წესით დაჯარიმებულ იქნება 500 მანეთამდე, ან დაპატიმრებულ იქნება სამ თვემდე.

2. ასეთ სასჯელების დაწესება ევალებათ ადგილობრივ გუბერნატორებს.

3. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდან.

მთავარ-მართებლის თანამდ. ალმასრ.
გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
2 მარტი

ტოკიო, 28 თებერვალი. „ცენტრალ ნიუს“-ი იუწყება, რომ ჩინელების სახლებში ბევრი რუსი იმალებაო. არა იციან-რა, სად იმყოფება გენ. კუროპატკინი. ბრძოლის დაწყებისას იგი ფუშუნში იყო და, ამბობენ, როცა ამბავი მოუტანეს მუკდენი საშიშ მდგომარეობაში არისო, დაბრუნდა იქ და თან ძლიერი ჯარიც წაიყვანა საშველად; იქ საქმემ კრიტიკული ხასიათი მიიღო და კუროპატკინმა ბრძანება გასცა უკან დახეულიყვნენ ყველანი, თითონ კი წაიყვანა თან მცირედი ჯარი და გაეშურა რკინის გზით, სანამ იაპონელებს ჯერ კიდევ გზა არ მოეჭრათ. რუსეთის ჯარებს, რომელნიც ფუშუნიდან უკან იხევდნენ, გარს შემოერტყა იაპონელების ჯარი 20 მილის მანძილზე ჩრდილოეთით. ჰფიქრობენ, ბრძოლა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდებაო.—აქ იციან, რომ ტელინის გარნიზონში 50,000 კაცია და ამიტომ არ იციან, იაპონელები პირდაპირ დაესხმიან ტელინს, თუ დაასვენებენ ჯარს. ამ ჟამად ჯარები მისდევენ რუსებს, უკანასკნელნი კი ისე არიან დაქანცული და დამშეული, რომ წინააღმდეგობას ვერ უწევენ მტერს.

სინმინტინი. ათი დღის განმავლობაში მუკდენის მიდამოებში გამოუთქმელი სისხლის ღვრა იყო. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს რუსების ჯარებზე იერიში და ბოლოს გაარღვიეს კიდეც წრე. შესაზარებელი ჟლეტა შეიქნა. იაპონელები მკვდრებიდან საფარს იკეთებდნენ და ისე მიდიოდნენ მტერზე. რამდენიმე დღე ისე გავიდა, რომ ბრძოლის შედეგი არა სჩანდა. ბოლოს იაპონელების სიმამაცემ გაიმარჯვა და იმათ მტერს შემოუარეს. იაპონიის კოლონამ დაიჭირა ისეთი პოზიცია, საიდანაც შეეძლო იერიში მიეტანა რკინის გზაზე, რუსის მარჯვენა ფრთის უკან. თითქმის მთელი არმია კუროპატკინისა ფაქტიურად გარშემორტყმულია. სინმინტინის რკინის გზაზე მისვლა-მოსვლა აღარაა. ვაგონები სინმინტინში დგანან. არც ერთი ორთქლმავალი არაა. ვაჭრები დიდ ზრუნვას მიეცნენ. ეშინიათ, რადგანაც იაპონელების 20,000 ჯარის კაცს ელიან. არავითარი მმართველობა არაა, რომ ქალაქის ბედ-იღბალზე იზრუნოს. ყველაფერი იაპონიის ცენზორის ხელშია. ჩინელების მთავრობას დავთარი აერია.

პარიზი. ადმირალი დუბასოვი საღამოთი პეტერბურგს წავიდა პარიზიდან. გაზეთ „ჟურნალ“-მა გამოაქვეყნა დეპეშა თავის კორესპონდენტ ნოდოსი, რომელიც იუწყება, ტყვედ წამიყვანეს მუკდენში და იაპონიაში მგზავნიანო.

სინგაპური, 2 მარტი. აქ მოვიდა აღმოსავლეთიდან იაპონიის 4 კრეისერი. ჰფიქრობენ, რომ ესენი იაპონიის ფლოტის მოწინავე რაზმს შეადგენენ.

მოსკოვი, 2 მარტი. გუშინ საღამოთი თეატრის მოედანზე, აუზთან დამაყრუებელი ხმა გაისმა აფეთქებისა. ახლო პოსტებზე მდგომმა პოლიციელებმა მოირბინეს აფეთქების ადგილას და დაიჭირეს ვიღაც უცნობნი, რომელნიც იმ ადგილიდან გარბოდნენ. აფეთქებას დიდი ძალა ჰქონდა, დაჭრილები პოლიციაში გაგზავნეს. ჩქარა ბრანდმეიერი და პოლიცმეისტერიც მოვიდნენ, დაათვალიერეს აფეთქების ადგილი და წავიდნენ დაჭრილებთან ჩვენების ჩამოსართმევად. ერთ დაჭრილთაგანს ჭრილობა აღმოაჩნდა ხელზე. ისინი არავითარ კითხვაზე არ იძლევიან პასუხს. საქმე გამოურკვეველია.—აქ ცნობა მოვიდა, ზოგიერთ ვოლოსტებს [illegible] მიიღეს ზომები.

მოსკოვი. ექიმთა პიროგოვის საზოგადოებაში განცხადება შემოიტანა ქიმიკოს ავერკი ივანოვმა, ხოლერის წინააღმდეგი წამალი გამოვიგონეო. გამგეობამ სთხოვა, კლინიკაში სცადეთ თქვენი გამოგონილი წამალიო.

სტამბოლი, 2 მარტი. პორტამ კონფიდენციალური ცნობები მიიღო, საბერძნეთის საგენერალო საკონსულოში, სალონიკში, ჩუმად ინახება იარაღი და საომარი სურსათი, რომლებიც საბერძნეთის რაზმებისათვის არის დანიშნული. პორტამ ნოტა გაუგზავნა საბერძნეთის მთავრობას და პროტესტი განაცხადა ამგვარ საქმეების წინააღმდეგ.—არაბებმა ალყა შემოარტყეს იემენის სატახტო ქალაქ სანას. მოკლულია ტევფიკ-ფაშა, სანის სამხედრო გუბერნატორი. სამხედრო მინისტრს უნდა გაგზავნის იემენში 7 ბატალიონი ჯარი.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტს თათბირი ჰქონდა სადმრთო წერილის მოლოროსთა ენაზე ბეჭდვის განსაზღვრის გაუქმების შესახებ. კომიტეტმა მოილაპარაკა, გააუქმოს განსაზღვრითი ზომები სადმრთო წერილის მოლოროსიულად დაბეჭდვის შესახებ, მაგრამ ერთის პირობით: ყოველ თვითეულ გამოცემაზე უწმინდესის სინოდის კურთხევა უნდა აითხოვონ. კომიტეტის აზრი უმაღლესად დამტკიცებას ეღირსა მიმდინარე წლის 25 თებერვალს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
2 მარტი

ნიუ-ჩუანი, 1 მარტი. („რეიტ.“) რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ მიმოსვლა დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები გარკვევით იტყვიან, რკინის გზის ლიანდაგს ხელს არ ვახლებთო.

პარიზი, 2 მარტი. აუარებელი ხმა გაისმის ზავის ჩამოგდების სასარგებლოთ, „ეკლერი“-კი თავისას გაიძახის, ომის გაგრძელება საჭიროც არის რუსეთის და ევროპისთვის და კიდეც შეუძლიან რუსეთს განაგრძოსო.

ტოკიო. 2 მარტი. გემი „გასოტა“ იაპონელებმა დაიჭირეს.

ლონდონი. რუსეთმა მისწერა იაპონიის მთავრობას: სინმინტინში რომ ჩვენი აფიცერი დაიჭირეთ, პორტ-არტურის დამცველი, სამშობლოში მოდიოდა ჩინეთის რკინის გზის სინმინტინის შტოთი და ამითი აიხსნება მისი ამ ქალაქში ყოფნაო.

ლონდონი, 2 მარტი. გრაფ პერსიმ განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ ბრიტანიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს იაპონიასთან პეჩილიის ყურეში მცურავ ნაღმების შესახებაო. ინგლისის პატარა გემი „ნაიბოტ“-ი კორნვალისის ნაპირებთან დაიღუპა. დაიხრჩო ოცდასამი კაცი, სამი კი გადაარჩინეს.

პეტერბურგი. პეტერბურგში ცნობა მოვიდა, იაპონელები აშკარათ ნადირობენ ბერინგის ზღვის ცხოველებზე. კამჩატკის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებამ მიჰმართა ბრიტანიის მთავრობას და სთხოვა გააძლიეროს დაცვა ზღვის სანადირო ნაპირებზე.

შანხაი, 1 მარტი. („მორნინგ პოსტი“). ერთდებიან ჩინეთის ფლოტის გასაძლიერებლად ყველა საზღვაო სამმართველოები.

ბერლინი, 2 თებერვალი. „ნაციონალ-ცაიტუნგ“-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ ზავის ჩამოგდებასაო. ყველა დიდი სახელმწიფოები მზად არიან სამსახური გასწიონ ომის შეწყვეტისათვის. ომს დიდი უბედურება მოაქვს რუსეთისათვის, მაგრამ რუსის იარაღს ჩირქი არ მოსცხებია. თუ გონივრულად გადასწყვეტს რუსეთი შინაურ საკითხებს, იმ შემთხვევაში მას შეუძლიან აღმაღლდეს შედარებით წინანდელ მდგომარეობასთანაო.

მოსკოვი. ქალაქის ინჟინერთა განსაკუთრებულმა კომისიამ შესაძლოდ სცნო შემოიღოს რვა საათის სამუშაო დრო ქალაქის სახელოსნოებში. უმაღლეს სპეციალურმა სასწავლებლებმა, მოლაპარაკების შემდეგ, გარდასწყვიტეს, შეუძლებელია სწავლის განახლება ეხლა. მოსკოვის გუბერნიის ქალაქების და მაზრების სამხედრო საკრებულოებს მიწერილობა მოსვლიათ, აუწყონ 15 მარტისთვის რამდენი ჰყავთ ახალწვევის რატნიკები.

რეველი, 1 მარტი. საღამოს 6 საათზე ზაკგოროდის მოედანზე შეიკრიბნენ ყველა ტომის მუშები, განსაკუთრებით ესტონელები ყოფილ გუბერნატორის ბელგარტის მისართმევ ადრესზე მოსალაპარაკებლად. საღამოს 9 საათზე რამდენიმე ათასი მუშა გაემართა გუბერნატორის სადგომისაკენ სხვადასხვა ფერის პატარა ფანრებით ხელში. ქალაქში სიმშვიდეა, ქუჩებს [illegible]

სტამბოლი. პორტამ უწყვლა სახელმწიფოებს, რომ ბულგარეთში მაჰმადიანებს ძლიერ ავიწროვებენო. პორტა დაწვრილებით მოხსენებას ამზადებს ამ საქმის შესახებ.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ ეს ისტორიული ბრძოლა უფრო უბედურად გათავებულა რუსის არმიისათვის, ვიდრე აქამდე გვეგონა. მარშალ ოიამას მთლად გაუნადგურებია გენ. კუროპატკინის არმია. წინად გამოაცხადეს, იაპონელებმა 20 ათასი რუსი დაატყვევესო, მერე 10 ათასი კაცი მოუმატეს და ეხლა აცხადებენ, დალნიში 40 ათასი ტყვე რუსი მიიყვანეს იაპონიაში გასაგზავნადაო. თუ ასე იმატა ტყვეების რიცხვმა, მუკდენი თვით განთქმულ სედანსაც გააფასებს... იაპონელები ფუშუნიდან წასულ რუსის ჯარსაც (გენ. ლინევიჩის არმიის მარცხენა ფრთას) შემოჰხვევიან ფუშუნის ჩრდილოეთით. იაპონელები ბეჯითად სდევნიან უკან დახეულ რუსის ჯარს... რუსები მშივრები და დაქანცულები არიან და წინააღმდეგობას ვერ უწევენ, ბევრი რუსი იმალება ჩინელების სახლებში... უკან დახევის დროს რუსის არმიას დიდი ზარალი მოსვლია...

სინმინტინიდან მიღებული დეპეშა იუწყება: იაპონელებმა თითქმის მთელ რუსის არმიას შემოავლეს წრეო... საყურადღებოა, რომ ასეთ სენსაციონურ დეპეშას თარიღი არ უზის... იაპონელებს ბევრი რუსის ექიმიც დაუტყვევებიათ და ეხლა ეს ექიმები დაჭრილ რუსებს სწამლობენ. ფრანგი კორესპონდენტი ნოდოც დაუტყვევებიათ. იქნება, ბევრ სხვა ცრუპენტელ კორესპონდენტსაც მოუხდეს იაპონიაში გასეირნება...

მუკდენის ბრძოლამ ლამის რუსის არმიისა და მთელის ომის ბედიც გადასწყვიტოს სამუდამოდ.. თუ ზოგიერთს დეპეშას დავუჯერებთ, ზავზე მოლაპარაკება გაუმართავთ და მხოლოდ კონტრიბუციაზე ვერ მორიგებულან...

მთელ ფრონტზე მედგარი ბრძოლა იყო, მაგრამ ყველაზე გამწვავებული ბრძოლა და საზარელი სისხლის ღვრა-კი მუკდენის დასავლეთით მოხდა, იქ, სადაც გენ. ნოგის არმია და გენ. ოკუს მარცხენა ფრთა მოქმედებდნენ. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი 21 თებერვლამდე იუწყებოდა, მარჯვენა ფრთაზე (მუკდენთან) მეტად დიდი ზარალი მოგვდისო, 21 თებერვლის შემდეგ ბრძოლა უფრო გამწვავდა და ზარალიც, რაღა თქმა უნდა, უფრო დიდი მოუვიდოდა ჯარსა...

დიდი საქმე გაარიგა ამ ბრძოლის დროს გენ. ნოგის არმიამ... გენ. ნოგიმ ახლაც ისეთივე მედგრობა, შეუპოვრობა და მოხერხება გამოიჩინა, როგორსაც მუდამ იჩენდა პორტ-არტურთან. სამხედრო მიმომხილველები ამბობენ, გენ. ნოგიმ ისეთის საოცარის მოხერხებით მოუარა გვერდიდან რუსის მარჯვენა ფრთას (გენ. კაულბარსის მეორე არმიას), რომ სანამ პორტ-არტურის დამპყრობი მუკდენთან არ გაჩნდა, რუსებმა ვერა გაიგეს-რაო. სულაც არაა გასაკვირველი, რომ რუსებს გვიან გაეგოთ გენ. ნოგის გალაშქრების ამბავი, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ გენ. კუროპატკინს სცოდნოდეს კიდეც გენ. ნოგის გალაშქრება, მაგრამ განეგ, განზრახ დაეცადოს მუკდენთან მისვლა, იმ იმედით, რომ მერე ერთბაშად დაეცემოდა, სხვა არმიებისაგან მოეწყვიტა, და გენ. ნოგის არმია მთლად გაენადგურებინა. ლიაოიანთან სწორედ ამნაირადვე მოიქცა რუსის მთავარ-სარდალი: გენ. კუროკის მდ. ტაიძიხეში გასვლა ძლიერ გაუხარდა თურმე; დიდის ჯარით დავეცემი და გავანადგურებო.

რუსის კორესპოდენტებს თითქმის ყველას დიდ საოცარ თავხედობად მიაჩნიათ გენ. ნოგის გალაშქრება მუკდენისაკენ; ყველანი, მეტადრე „რუს“-ისა და „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტები, დარწმუნებით სწერდნენ, ეხლა კი ნამდვილად დავსჯით თავხედ იაპონელებსაო და 22 თებერვლამდე ყოველ წამს ელოდნენ გენ. ნოგის არმიის განადგურებას... მერე სხვა არმიების რიგიც დადგებოდა... გენ. კუროპატკინი თითონაც მუკდენის დასავლეთით წავიდა... რუსის ჯარი დიდის აღტაცებით და „ურას“ ძახილით მიეგება მთავარ-სარდალს. იაპონელთა ზოგიერთ იერიშის მოგერებით ყველანი გახარებულნი და აღტაცებულნი იყვნენ და გამარჯვების იმედი ჰქონდათ. მაგრამ გამარჯვების იმედი მუკდენთან უფრო მწარედ გაუცრუვდათ რუსებს, ვიდრე 20 აგვისტოს ლიაოიანთან...

გენ. ნოგი უკანიდან მოექცა რუსის ჯარს; ამ დროს გენ. ოკუმ, ნოძუმ და კუროკიმაც ყველგან ხელი დაჰკრიეს რუსებს და უკან დაახევინეს და ფეხ-და-ფეხ გაჰყვნენ. გენ. კუროკიმ აღმოსავლეთიდან უჭრა გზა და 24 თებერვალს იაპონელები თითქმის მთელ რუსის არმიას ირგვლივ შემოეხვივნენ და შუაში მოიმწყვდიეს. საქმე ისე წავიდა, რომ ელოდნენ რუსის არმიისა და იაპონიის არმიის მთავარ-სარდლები საცაა მოლაპარაკებას გამართავენო. იაპონიის არმიის წარმომადგენლად გენ. ნოგი დაენიშნათ... (რადგან გენ. ნოგი ყველაზე ახლო იყო რუსის მთავარ სადგომთან)... გენ. კუროპატკინი კიდევ წაუვიდათ ხელიდან იაპონელებს, მაგრამ რამდენი ჯარი წაიყვანა თანა, ამაზე ჯერ სწორე ცნობა არ მოსულა...(რ. ა.)

ტელინი. იაპონელები სწრაფად მიდიდნენ ტელინთან და 1 მარტს მდ. ფანზეზე, ტელინიდან 15 ვერსტის მანძილზე, სამხრეთით რუსის არმიის ცენტრს დაეცემიან. გენ. კუროპატკინი მოახსენებს, „იაპონელების იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივეცით მტერსაო“.

ტოკიოდან იუწყებიან, რუსებს ტელინში 50 ათასი კაცი ჰყავთ შეცახოვნე ჯარადაო....

ადრევე იუწყებოდნენ, ტელინში რუსის ჯარი ბინას ვერ იშოვისო, საზამთრო თბილი სადგომები ხომ უფრო ძნელი საშოვარი იქნება, მანჯურიაში-კი ჯერ დიდი სიცივეა. (პ. ა.)

ბ ა ს ი

V.

უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს საქართველოს ბრწყინვალე ხანა ბევრი ჰქონია, მაგრამ შავი დღენი გაცილებით სჭარბობდა. ასეთ უმზგავს ხანად მიმაჩნია მთელი წარსული საუკუნე. რომელი ენა მოსთვლის, რომელი კალამი ასწერს ყველა იმ უკუღმართობას, რაც ჩვენმა ერმა გამოიარა მეცხრამეტე საუკუნეში? დიდსა და ძლიერ იმპერიას მივეკედლეთ უმთავრესად იმის გულისთვის, რომ დაბნელებული და დაქსაქსული ერი ივერიისა შეკრებილიყო, გაერთსულოვნებულიყო და შეერთებულის ძალით შესდგომოდა ეროვნულს საქმეს, ესე იგი ერის უხილავთა და ხილულთა ძალთა განვითარებას. მტერმა და დუშმანმა სწორედ ამ შეერთების იდეალსა და ტრფიალს დაუგო მახე წარსულ საუკუნეში, გამოუცხადა სასტიკი ომი და დღესაც არა ცხრება.

ნეტარხსენებულმა ჩვენმა „ფილოსოფოსად“ წოდებულმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა შესანიშნავად დაასურათა ივერიის რუსეთისადმი მიკედლების უმთავრესი სტიმული. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ასე მოახსენა ფილოსოფოსმა: გილოცავ, ხელმწიფევ, მობრძანებას სისხლით მორწყულ ივერიაში. საქართველოს ერი დაწიწკნა, დაფლითა მეფე ალექსანდრემ, ხოლო რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაამთელა კურთხეულმა მეფემ ალექსანდრემ, თქვენმა პაპამაო. აქ ღვთის განგების ხელიაო.

პლატონის სიტყვანი რიტორიული ფიგურაა, ოცნებაა მოხუცი ისტორიკოსისა. გარეგნობით, მართალია, შევკოწიწდით, მაგრამ სულიერად შეერთებას ხელს უშლიდა მტერი და დუშმანი, არა მკითხე მოამბენი და ჩვენის ბედის მოჯახრაკენი. ეს უკეთურნი არა ცხრებოდნენ მთელი ასი წელიწადი და დღესაც ხელს არ იღებენ და თავს არ ანებებენ თავიანთ ჯოჯოხეთურს და ეშმაკეულს მუშაობას. როგორც ტარტაროზს არ იამება წმინდა ჯვარის დანახვა, ისე ამ უკეთურთ გული უსივდებათ საქართველოს სხვა-და-სხვა ტომთა და თემთა შეერთების გაგონებაზე. კარგად ესმით ტარტაროზთ ძალა ერთობისა და ილვწვიან, რათა ეს ერთობა არ ჩამოვარდეს ჩვენთა შორის. ჩვენი დაქსაქსვა, დანაწილება, დაქუცმაცება, დახურდავება და შემდეგ თავში ბრახუნი და ზურგზე ტყაპუნი—აი მათი ჯოჯოხეთური იდეალი, საამო ტარტაროზისა და ბელზევულისა.

თუ არ ეს თვალთმაქცობა და სურვილი ჩვენის დამხობისა, მაშ რა ჯანდაბა და დოზანაა ეს დაჟინებული ჩაციება: მეგრელებო, გაფრთხილდით, ქართველებს თქვენი ჩაყლაპვა ჰსურთ; თქვენ ქართველები კი არა, მეგრელები ხართო. სხვის ბატონობა რად გინდათ, საკუთარი ლიტერატურა და ღვთის მსახურება უნდა გაიჩინოთ. თუ თქვენ არ ძალგიძთ ესა, ჩვენ დაგეხმარებითო. ამ „პატიოსანმა“ ზრუნვალოლიაობამ დაჰბადა ბატონი აშორდია და კიდევ ბევრს დაჰბადებს, თუ უკეთურებმა კისერი არ მოიტეხეს.

სად გაგონილა ასეთი ალვირ-ახსნილობა? მთელი სამეგრელო ღაღადებს, ბატონო, მოგვასვენეთ, ჩვენ უკეთ ვიცით, რაცა, ან ვინცა ვართო, მაგრამ ძალად მაცხონებელნი თავისას არ იშლიან და მხნედ განაგრძობ[illegible] ქართველის ერის ერთობის დანგრევა-[illegible]რღვევას. ღმერთმა კი ნუ მოასწროთ ამის [illegible]ვას, მაგრამ დიდი სიფხიზლეა საჭირო [illegible] ჯოჯოხეთურ და ქვემძრომელთ [illegible] გასაბათილებლად.

ძალად მაცხონენი მარტო სამეგრელოს არ მოევლინენ. დღეს კუდ-ამოძუებულმა, ხოლო წარსულ საუკუნეში ყოვლად შემძლე ბიუროკრატიამ მოაჰორა ცოცხალი ტყუილი, შეჰქმნა ზღაპარი და მოჰფინა ვრცელს იმპერიას. ქართველები ისე მტკიცე მართლ-მადიდებელნი იყვნენ, რომ შეუძლებელია მათ შორის სხვა აღსარების მქონებელი მოიპოვებოდეს ვინმეო. ამის გამო ვინც მართლ-მადიდებლობას არ აღიარებს, ქართველი არ არისო. მორჩა და გათავდა. სთქვეს ესა, მოაწერეს ხელი, დაბეჭდეს და განისვენეს.

სამწუხარო შედეგი მოჰყვა ამ ტყუილისა და სიცრუის გუდას. აუარებელი ქართველი მაჰმადიანობა ჩამოგვაცალეს, უარი უთხრეს ქართველობაზე ქართველ-კათოლიკეთ და, როგორც ამბობენ, არა ჰსურთ შეიწყნარონ ქართველ-გრიგორიანნი.

შესაძლებელია, რომ ძველად მტკიცედ ვადექით მართლ-მადიდებლობას, მაგრამ განა აქედან ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართველთაგანი არავინ მოისურვებდა ნებით, ან გარემოებათა მიხედვით მიელო სხვა რელიგიის აღსარება? რა სათქმელია. ამ რამდენიმე წლის წინად ერთმა ფრანგ დეპუტატმა მაჰმადიანობა მიიღო, გამოიჭიმა არაბულ ტანისამოსში და ისე დაბრძანდა პარლამენტში. ასეთი საქციელი არავისაც არ გაჰკვირვებია. კაცია და გუნება.

წარსულ საუკუნის ნიადაგზე აღმოცენებულ ძალად-მაცხონეთ სწორედ სული გაუჭირეს ქართველ-კათოლიკეთ. მათი დუხჭირობა იქამდისინ მივიდა, რომ აკრძალეს ბეჭდვა ქართულის ლოცვანისა და ძალს ატანენ ღვთის მსახურება ისმინონ უცხო, გაუგებარ ენაზე. სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კონტრაბანდით შემოაქვთ სტამბოლიდან ქართული ლოცვანი და თითო ცალში ხუთ-ექვს მანეთს აძლევენ, ფასი კი მისი ბევრი, ბევრი ორი შაური. ზოგს ნაბეჭდი რომ ვერ უშოვნია, ხელთნაწერით მიდის იოლად.

მეგრელებსავით ამათაც მიაცივდნენ ჩვენი კეთილის მყოფელნი, ქართველები არა ხართ და რომ არავინ გაგაბრიყვოთ ჩვენ ვიზრუნავთ თქვენთვისაო. სწორედ საკვირველისა და უცნაურის აპეკის მხილველნი ვიყავით. კათოლიკე მღვდელი მიხეილ თამარაშვილი, უკვე ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც დაუღალავად ებრძვის და შრომობს საქართველოს საერო და საეკლესიო ისტორიისთვის, მაშ ვინაა თუ არ ქართველი? კაცი თავის თავს საჯაროდ ქართველს ეძახის, ეროვნულ მუშაობაში დღესა და ღამეს ათევს და მაინც უკეთურნი თავისას არ იშლიან და უპარდონოდ გაიძახიან,--ქართველი-კათოლიკე არც ყოფილა და არც არისო. თუ თამარაშვილი ქართველი არ არის, მაშ აბა ქართველი სულ აღარ ყოფილა! ლობე-ყორეს რაღას ვედებით, ვსთქვათ ესე და გავათავოთ.

ყველაზე მწარე ბედი მტერ-მოყვარემ ქართველ-მაჰმადიანებს მოუმზადა. ამათ ისეთი სამსალა დაალევინეს, რომ ლამის პირი სამუდამოდ იბრუნონ ჩვენთაგან. მეგრელი და კათოლიკე ასე თუ ისე იბრძვის ეროვნობის დასაცველად, მაგრამ ამათში, სამწუხაროდ, სუსტია ეროვნული შეგნება.

1828 წ. საქართველოს შემოუერთდა ნაწილი ზემო-ქართლისა, ანუ მესხეთი. აქ დაბინავებულ ქართველ-მაჰმადიანობას ოფიციალურად უწოდეს თათრები. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ისა, რომ დედა-მიწა ვეშაპის ზურგზედა სდგასო. საიდან სადა, წმინდა საბა! სად ადირბეიჯნელი თათარი და სად ქართველი! ხვალ რომ მაჰმადიანობა მივიღო, განა გავთათრდები, ან არაბად, ოსმალად, ყიზილბაშად ვიქცევი? ესენიც ხომ მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებენ? მაჰმადიანი მეფენი ბლომად გვყავდა, მაგრამ საქართველო მაშინაც სათათრეთად არავის გამოუცხადებია. ხელსაყრელია თხუნელებისთვის ეს დამღა, დაჰკრეს იგი საქართველოს ერთს ნაწილს და რაკი ეშმაკის საამო საქმე მოიქმედეს, განცხრომას მიეცნენ.

სამი-ოთხი წლის წინად ბათუმ-ართვინის მხარეს შემოიღეს სასოფლო სამმართველოები და სახელმწიფო ენის გარდა სახმარ ენად თათრული გამოაცხადეს. მწერალმა ეს ენა უსათუოდ უნდა იცოდეს, უმაგისოდ თანამდებობას ვერ იშოვნის. ქართული, სამშობლო ენა-კი მიაფუჩეჩეს, ნაცარი მიაყარეს. თუ დროზე არ აღვადგინეთ ბუნებრივი უფლება ქართულისა, აჭარა-ქობულეთსაც ის დაემართება, რაც დაემართა ახალციხის მაზრას. ფასდაკარგულ ენას სიცოცხლის ძალა გამოელევა და გაჰქრება, ვითა სიზმარი ღამისა.

რაკი თხუნელა საქართველოს ძირს გამოუთხრის და გამოჰღრღნის სოხუმ-აბხაზეთს, სამეგრელოს, მაჰმადიანობას, კათოლიკობას საინგილოს, ისტორიული ერი ჯერ წაიჩოქებს და მერმე ისე ძლიერ გაიშხლართება, რომ ფეხზე წამოყენებას ველარავინ იკისრებს.

დუშმანსაც ეს უნდა. **ა—ლი.**

ახალი ამბავი

✦ ქალაქში ორი-სამი დღეა ხმა დადის და ზოგიერთი გაზეთებიც სწერდნენ, რომ ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი, უმაღლესის კარის გოფმარშალი **თავ. შერვაშიძე დაინიშნა ნამესტნიკის თანაშემწედ.** თავ. შერვაშიძეს სამოქალაქო ნაწილი ჩაებარება. ნამესტნიკს ორ თანაშემწის—სამოქალაქო და სამხედრო—გარდა ეყოლება მესამე თანაშემწეც, რომელსაც ჩაებარება საპოლიციო საქმე ამიერ-კავკასიაში.

✦ გორის მაზრაში მომხდარ **გლეხთა არეულობის და მოძრაობის გამო** იგზავნებიან ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. გ. ჯანდიერი და ბ-ნი ჟ. კ. ვეიდენბაუმი.

✦ როგორც ყარსიდან გვატყობინებენ, 1 მარტს ქუჩაში ვიღაც ორ უცნობ კაცს **მოუკლავს საპოლიციო აფიცრის** თანაშემწე ილია სავანელი. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

✦ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ამ დღეებში **ორი ეკლესია გაუტეხიათ**—მუხუთის წმ. მარინესი და ნიგოითის წმ. გიორგისა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შემდეგი განკარგულება მოახდინა ლიანდაგის ინჟენერთა საყურადღებოდ: როდესაც რკინის გზის ლიანდაგის შესაკეთებლად ან თოვლის გასაწმენდად ან კიდევ ზვავის გასატანად მუშებს ამუშავებთ დღიურათ, ანგარიში უნდა მისცეთ საქმის გათავების შემდეგვე და არ აცდევინოთ ერთ ან ნახევარ თვეს, როგორც დღემდის იყო. ეს განკარგულება გამოიწვია მუშების უკმაყოფილებამ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ტყიბულის ლიანდაგზე **ხუთასმა მუშამ მოიყარა თავი** და მოითხოვა დღიური ქირა. ეს მუშები მუშაობდნენ ტყიბულის ლიანდაგზე, როდესაც დიდი თოვლი იყო, და იმათი ანგარიში კაი ხანს დააგვიანეს.

✦ როგორც ქვემოდ ანგარიშიდან გაიგებს მკითხველი, ბ-ნ ქალანთარის მოხსენების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ **დეპუტაცია აარჩია მთავარმართებელთან მოსალაპარაკებლად** და შუამდგომლობის წარსადგენად, რომ სოხუმის ოლქში მცხოვრები, ოსმალეთიდან გადმოსული მეთამბაქოენი, უმთავრესად სომხები, პირველ აპრილიდან არ გადაასახლონ, როგორც განზრახულია. დეპუტაციის წევრნი, ბ-ნნი ქალანთარი, ტარატინოვი და თავ. შერვაშიძე, გუშინ იყვნენ გენ. მალამასთან. გენერალი დაჰპირდა, რომ მეთამბაქოებს შავი ზღვის პირად ისევ დავტოვებთ და არ აუკრძალავთ წარმოებასო; მეთამბაქოობა აეკრძალება მხოლოდ იმას, ვინც რუსის ქვეშევრდომი არ არისო.

✦ **„ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრცელებელ საზოგადოების“** გამგეობამ განიხილა კოჯრის სამრევლო-საეკლესიო სკოლის სამზრუნველოს შუამდგომლობა დახმარების აღმოჩენის შესახებ. გამგეობამ სახეში მიიღო ის გარემოება, რომ სამრევლო სკოლის ეხლანდელი პროგრამა სრულიად არ შეეფერება არც ხალხის საჭიროებას და არც საზოგადოების წესდებას, რომლის მე-9 მუხლის ძალით, დაბალ სკოლებში სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა წარმოებდეს, და დაადგინა—უარი გამოეცხადოს აღნიშნულ სამრევლო სკოლის მზრუნველს.

✦ გორის მაზრის სოფელ მეტეხის მცხოვრებმა ქ-ნმა სოფიო მაღალაშვილისამ შუამდგომლობა აღძრა „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების“ გამგეობის წინაშე, **სახალხო სამკითხველო და ბიბლიოთეკა** დაარსოს აღნიშნულ სოფელში.

✦ როგორც **ბათუმიდან გვატყობინებენ**, არ იქნა, ვერ მოწესრიგდა რკინის გზის არტელის საქმე. ხმა დადის, ამ მუშებს ანგარიშს მისცემს რკინის გზა და სამსახურიდან დაითხოვსო. ბათუმელმა მედროგეებმა და საქონლის მატარებელ ფურგონებმა მუშაობაზე ხელი აიღეს და განაცხადეს, სანამ ამიერ-კავკასიის რკინის გზა არ დააკმაყოფილებს თავის არტელს, მანამ არ ვიმუშავებთო.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც გავიგეთ, **დაამტკიცა წესდება ტფილისში განზრახულ** „მუსიკისა და დრამის ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოებისა“.

✦ გუშინ, 3 მარტს, საქართველოს ექსარხოსთან იყვნენ გუბერნიის მარშლის მოადგილე თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანი, თავად-აზნაურთა დეპუტატი ნაფიცი ვექილი თავ. გრ. ნ. დიასამიძე და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მდივანი ნაფიცი ვექილი ალ. ივ. ყანჩელი. ზემო-აღნიშნულ პირთ სთხოვეს ექსარხოსს, რადგან **გორის ეპისკოპოსის თანამდებობა** განთავისუფლდა, გთხოვთ ისეთი პირი დანიშნოთ ამ თანამდებობაზე, რომელმაც ქართული ენა იცოდეს ან ქართველი იყოსო. ექსარხოსმა უპასუხა, განზრახულია გორის ეპისკოპოსად დაინიშნოს ალავერდის ეპისკოპოსი ევთიმე (ელიაშვილი), ხოლო ალავერდის ეპისკოპოსად უნდა დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც იმავე დროს რექტორის თანამდებობასაც შეასრულებს და ბინა სემინარიაში ჰქონდესო. დასასრულ ექსარხოსმა უთხრათ, ეგ თქვენი თხოვნა ქაღალდზე გადიღეთ და ისე მომეცითო.

✦ იმერეთის ეპარქიაში ამ დღეებში ვიღაც უცნობ პირებს **გაუტეხიათ გეგუთის ამაღლების ეკლესია** და რაც ძვირფასი რამ ნივთი ან ფული ყოფილა, გაუტანიათ.

✦ როგორც გავიგეთ, **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი** უწმ. სინოდს პეტერბურგში დაუბარებია.

✦ რადგანაც რამდენიმე **მკვლელობა და ბოროტ-მოქმედება მოხდა** განჯასა და ევლახს შუა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის განკარგულებით იქ გაძლიერებულ იქნა ლიანდაგის დარაჯთა რიცხვი.

✦ დღემდე ბაქოს გაზეთების ცენზორობას სწევდა ადგილობრივი ვიცე-გუბერნატორი. ეხლა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ **ბაქოში განსაკუთრებული ცენზორი დანიშნა**, ბ-ნი ბოგოსლოვსკი.

✦ **ტფილისის მოქალაქეთა** ახლად არჩეულ რწმუნებულებს კერძო თათბირზე მოქალაქეთა მამასახლისად დაუსახელებიათ ს. ა. დანდუროვი, ამასთან დაუდგენიათ ჯამაგირად სამასი თუმანი დაუნიშნონ. ასეთ ჯამაგირის შემდეგ ბ-ნი დანდუროვი უთუოდ თავს გაანებებს რკინის გზაზე სამსახურს და მთლად მოქალაქეთა საქმეებს მიეცემა. დღემდე ბ-ნი დანდუროვი მამასახლისადაც იყო და რკინის გზაზედაც მსახურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ტფილისში განზრახულია **ნოქართა კლუბის დაარსება**. ამ ცოტა ხანში კრება მოხდა კაცების ასარჩევად, რომელთაც წესდება უნდა შეიმუშაონ.

✦ ამიერ-კავკასიაში **გზებისა და ხიდების შესაკეთებლად** 1905 წელს კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას გადაეცა 374,351 მანეთი. ცალკე გუბერნიებზე ეს ფული ასეა განაწილებული: ტფილისის გუბერნიას—80,000 მანეთი, ქუთაისისას—51,000 მ., განჯისას—77,000 მ., ერევნისას—85,000 მ., ბაქოსას—25,000 მ., ყარსისას—8,000 მ., დაღესტნისას—33,000, სოხუმის ოლქს—13,351 მ., ზაქათალისას—2,000 მ.

✦ როგორც ვწერდით, ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა მოსკოვისა, კიევისა და სხვა ქალაქის გამგეობათ, რა ღონეები, რომ **ელექტრონის ტრამვაის ვაგონებისაგან** კაცის თავს რაიმე უბედურება არ შეემთხვესო. ეხლა აცნობეს ტფილისს, რომ ამ შემთხვევაში ერთად-ერთი საშუალება ვაგონების დამტარებელთა სიფრთხილე და ტორმოზების სიმაგრეაო. ზოგან ვაგონებს ელექტრონის ტორმოზები ჰქონია.

✦ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო **კავკასიის სცენაზე ქართულად წარმოდგენისა**: „მონნა-ვანნა“, სამ მოქმედებიანი პიესა მეტერლინკისა, თარგმანი ზ. კ. ჩიქვაიძის-მიერ.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა გუშინ აცნობა ქალაქის გამგეობას ის წესები, რომელიც უნდა დაიცვას უსახელო საზოგადოებამ, რომ ელექტრონის ტრამვაიმ არა ავნოს რა ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულებს. უფროსი სწერს აგრეთვე ქალაქის გამგეობას, მინისტრის განკარგულებით, განსაკუთრებული კომისია უნდა შესდგეს და ამ კომისიაში თქვენი წარმომადგენელიც დანიშნეთო.

✦ ბათუმი. 2 თებერვალს მე-76 ვერსტზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ დასჭრეს ლიანდაგის დარაჯი და ცული წაართვეს.

✦ ქალაქის მიწის მზომელმა აცნობა გამგეობას, მომრიგებელ მოსამართლეს დანილოვს პოლიციის მე-2 ნაწილში პრიუტის ქუჩის პირდაპირ ქალაქის მიწა მიუთვისებია და ქუჩა გამვლელთავის შეუკრავსო.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, 1 მარტს, დაიჭირეს ერევნის მცხოვრები თაიარ-აღა-პკერ-ჰაჯი-აბას-ოღლი, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინად დესიმონოვის მოედანზე „პარიზის“ სასტუმროში მოუკლავს ქუთაისის მცხოვრები დარისპან კვანტალიანი.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში, ირაკლის ქუჩაზედ მანთაშოვის სახლიდან 2 მარტს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს სადამოთი მოუპარავთ 15 დიდი ტყავი 825 მან. ღირებული. ორი ქურდობაში დამნაშავეთაგანი რაჭის მაზრის მცხოვრებნი ათანასე ბაქრაძე და ვარლამ ჯაფარიძე, რომელთაც აღმოაჩნდათ მოპარულ ტყავებიდან 8 ტყავი. დანარჩენ ქურდებს დაეძებენ.

✦ 1 მარტს, ღამის 11 საათზედ ტფილისის მოქალაქეს დიმიტრი კამერაშვილს ოქროვის სახლში ბინა გაუტეხა ვიღაც ქურდმა და გაიტანა სხვა-და-სხვა ნივთები. ეჭვი მიიტანეს ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მიხეილ მუჯირიძეზე, რომელიც სადღაც გადაიმალა.

✦ ონკანების კანტროლმა დეკანოზიშვილმა, აგრეთვე ქალაქის სათადარიგო მეონკანეებმა სავიცკიმ, ნადირაძემ, თუშ-აბრამოვმა და სხვათ სთხოვეს გამგეობას, ნება მოგვეცით იარაღი ვატაროთ, რადგან ღამე სიარული გვიხდება და შესაძლებელია რაიმე უბედურება შეგვემთხვეს, როგორც ამას წინად ყაზახებისაგან შეგვემთხვაო.“

ქუთაისის ახალი ამბავი

✦ ეხლა კი თამამად შეგვიძლიან მივულოცოთ მკითხველს სათავად-აზნაურო სასწავლებლის დიდი ხნის საქმის დაბოლოვება: რო

ფელეტონი

წერილები ამერიკიდან

უკანასკნელი არჩევნები და პოლიტიკური პარტიები ამერიკაში.

I

მეუბნებოდნენ და არა მწამდა, ვხედავდი და თვალს არ ვუჯერებდი: ბავშვი, შეხედულობით 9—10 წლისა, ქუჩაში პლატფორმიდან გაცხარებით ლაპარაკობდა, და ხალხი გარშემო მოგროვილი იმის ლაპარაკს ყურადღებით ისმენდა. ეს პატარა მოლაპარაკე საარჩევნო აგიტაციას ეწეოდა, პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებდა. რესპუბლიკანური და დემოკრატიული პარტიები ერთმანეთისაგან პრინციპიალურად არ განირჩევიანო, ორივე კაპიტალის ინტერესების წარმომადგენელია და შრომის წინააღმდეგიაო. მუშათა ინტერესების ნამდვილი წარმომადგენელი, მარტო სოციალისტური პარტიაა—გაუმარჯოს ამ პარტიას და მისგან წამოყენებულ საარჩევნო კანდიდატებსაო!

— რა გაეგება პოლიტიკისა ასეთ მცირეწლოვან ბავშვს?—ვკითხე ჩემთან მყოფ ნაცნობ ამერიკელს.

— აქ ჰაერი პოლიტიკით არის გაჟღენთილი, მომიგო მან.

არჩევნებამდის ერთი კვირა-და დარჩენილიყო. ყოველ ფეხის გადადგმაზე დაინახავდით პლატფორმას და იქიდან მოლაპარაკე ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელს. რესპუბლიკანურ-დემოკრატიული პარტიები უფრო მუსიკით უმასპინძლდებოდნენ მსმენელებს. სოციალისტურ პარტიის მხრივ კი სიტყვის მეტი არა ისმოდა-რა. ბევრი რამ ჰქონდა მას სათქმელი, ბევრი რამ უნდა აეხსნა ხალხისთვის: მთელ საუკუნეში სცხოვრობ და ჟერ კიდევ თავისუფლებას მოკლებული ხარ, ეხლა დროა ხმა აიმაღლო, მტერს პასუხი მოსთხოვო, თავი გაინთავისუფლო; მართალია, ღარიბი ხარ, ხშირად შიმშილ-სიცივეც გაწუხებს, მაგრამ დღეს შენ ხმას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მილიონერისასა. მოიხმარეთ ეს ერთად-ერთი იარაღი და თქვენის მტრების საწინააღმდეგოდ აარჩიეთ თქვენის წრიდან, თქვენი გულწრფელი მეგობარი დებსი. ასე ეუბნებოდა ხალხს ხსენებული პარტია არჩევნების წინა დღეს. რა მძიმე საქმე ადგია ხელში ამ პარტიას: აკვანსია და სკოლაშიაც აქაურ ხალხს მუდამ ყურში ჩასძახოდნენ: გახსოვდეს, რომ თავისუფალი ხართ. და ამ ხალხს მართლაც სწამს სულით და გულით, რომ თავისუფალია. ჯოჯოხეთიდან სამოთხეში შემოვედი, როგორც იქნა თავისუფლად ამოვისუნთქე,— აი რას ფიქრობს ხალხი, აქ გადმოსახლებული. და, აი, ამ ხალხს ეხლა ქუჩაში ეუბნებიან: დროა გავიღვიძოთ, ბორკილები დავამსხვრიოთ და ადამიანურად ვიცხოვროთ. როგორ დაიჯეროს ეს ხალხმა?! როგორ არ დაიჯეროს, როცა ცოცხალ ფაქტებს თვალწინ უყენებენ. როგორც რესპუბლიკანური, ისე დემოკრატიული პარტია ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველია; პირველსაც და მეორესაც ამ საარჩევნო ბრძოლის დროს ბურჟუაზია უწევს ხელს—ეუბნებიან ხალხს სოციალისტები. ამ დღეებში რესპუბლიკანურმა პარტიამ ამა და ამ ტრესტისაგან აგიტაციისათვის ამდენი ათასი დოლლარი მიიღოო. ასეთივე დახმარება გაუწევს დემოკრატიულ პარტიასაც ამა და ამ ტრესტების წარმომადგენლებმაო.

მტერია რუზველტი თუ მეგობარი ჩვენი?—ეს იქიდან სჩანს, რომ იგი ტრედ-იუნიონებს ებრძვის, იმათ მოსპობას სცდილობს. მექარხნის სურვილისამებრ უნდა ქარხნის კარი ღია იყოს ყოველ მუშისათვის, მექარხნეს შეეძლოს ტრედ-უნიონის წევრები-კი არა, სხვა მუშებიც *) მიიღოს ხოლმე და ასე მუშა იაფად დაუჯდეს. რუზველტი ასეთის აზრის განსახორციელებლად პროექტებს ადგენს და თქვენ კარგად იცით, თუ რა ძვირად უჯდებათ მუშებს ასეთ პროექტების წინააღმდეგ ბრძოლაო.

პარკერი?—ვერც იმის შესახებ ვიტყვით კარგ რამესაო. მოიგონეთ 28 აპრილი 1903 წლისა, იმ დღეს მან სასამართლოში გულ-გრილად წარმოსთქვა: „რვა საათის სამუშაო დღე კონსტიტუციის წინააღმდეგიაო“. აბა, რომელი შეგნებული მუშა მისცემს ხმას ამ კანდიდატს ასეთის ამბის შემდეგო.

ცხოვრებაც, თითქოს განგებ, ხელს უწყობდა სოციალისტურ პარტიის აგიტაციას. რესპუბლიკანელები ამბობდნენ, რუზველტის პრეზიდენტობის დროს შინ საერთო მშვიდობიანობას, ბედნიერებას ვხედავთო, და ამ დროს შეერთებულ შტატების სხვა-და-სხვა ადგილებში, ქალაქებსა და სოფლებში მუშათა გაფიცვა ხდებოდა, ფაბრიკის კარები იკეტებოდა. გაფიცვის მიზეზი ქირის დაკლება იყო ან სამუშაოს მომატება და ქირის შეუცვლელობა. მუშები ებრძოდნენ დამქირავებლებს, ებრძოდნენ იმ მუშებს, რომელნიც გაფიცვის დროს სცდილობდნენ, მეფაბრიკეების პირობების თანახმად, მუშაობა დაეწყოთ. ებრძოდნენ პოლიციას, სალდათებს, ძალმომრეობას. სულ რამდენისამე თვის განმავლობაში არჩევნების წინ გაფიცვა მოახდინეს მუშებმა წარმოების სხვა-და-სხვა დარგში. მუშები ერთის ქალაქიდან მეორეში დეპეშით ატყობინებდნენ ერთმანეთს და ასე ერთბაშად მუშაობაზედ ხელს იღებდნენ.

წარმოების სხვა-და-სხვა დარგში სწორედ არჩევნების წინა ხანებში თავი იჩინა კრიზისმა. მსხვილ ფაბრიკის პატრონები განგებ ამცირებდნენ წარმოებას, ეშინოდათ, ვინ იცის, რა ცვლილება მოხდება არჩევნების შემდეგაო, ამბობდნენ. იქნება დემოკრატიულმა დასმა გაიმარჯვოს, ის ხომ ტარიფის წინააღმდეგია, შეიძლება კანონმდებლობას ტარიფის შესახებ ჩვენთვის არა სასურველი მიმართულება მისცეს; იქნება ამ მოსალოდნელმა კანონმდებლობამ შეავიწროვოს ჩვენი ბაზარი, მაშინ ხომ აუარებელი საქონელი გაუსაღებელი დაგვირჩებაო. ასე ფიქრობდნენ მსხვილი მეფაბრიკენი და წარმოებას ამცირებდნენ, მუშებს უსაქმოდ სტოვებდნენ, ქუჩაში ისტუმრებდნენ, დანარჩენ მუშებს კი ქირას უკლებდნენ. ამ დროს რუზველტის თაყვანისმცემლები ხმა-მაღლა გაიძახოდნენ: რესპუბლიკანურ პარტიის მმართველობა საერთო ბედნიერებას ნიშნავსო. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“—ფიქრობდა მუშა და მასში კლასობრივი თვით-შეგნება ფეხს იკიდებდა.

აქამდის ტრედ-უნიონები სოციალიზმის წინააღმდეგნი იყვნენ. მათი მიზანი დღევანდელ პირობებში ცხოვრების გაუმჯობესება იყო. დეე მუდამ სხვისი მონა-მორჩილი ვიყო, ოღონდ ცხოვრების საშუალებები არ მომაკლდეს, კულტურულ ცხოვრებას უკან არ ჩამოვრჩეო. შეიძლება ის დროც დადგეს, რომ გამდიდრებულ კაპიტალისტებს გვერდში ამოვუდგე და მეც სხვის შრომის დამქირავებელი გავხდეო. ასე ფიქრობდნენ ტრედ-უნიონები და იმის გარეშე მყოფი კერძო მუშებიც. ცხოვრება ასეთ ილუზიებს ხელს უწყობდა და ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის [illegible] აქ მართალი კლასობრივი [illegible] მაგრამ სოციალიზმი აქამდის ფეხს ვერ იკიდებდა. ეხლა კი ცხოვრებამ შეუბრალებლად თავში ჩაუკაკუნა ტრედ-უნიონებს, ილუზიები ხელიდან გამოაცალა ცოტად თუ ბევრად და ყურში ჩასძახა: დღევანდელ პირობებში მუშის მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. დაქირავებული შრომა უნდა მოისპოს, დამქირავებლობა გაუქმდეს და მხოლოდ მაშინ შეიძლება კულტურული ცხოვრება, საერთო ბედნიერებაო.

ეტყობათ, ტრედ-უნიონებმაც შეიგნეს ეს და ბევრმა მათგანმა არჩევნების წინა დღეებში სახალხოდ გამოაცხადა: ჩვენ აღვიარებთ სოციალისტურ პარტიის ემბლემას და ვირჩევთ პრეზიდენტად დებსსაო.

როგორც ვთქვით, საარჩევნო აგიტაციისათვის საჭირო ფულს რესპუბლიკანურ-დემოკრატიული პარტიები ტრესტებისაგან იღებდა. სოციალისტური პარტია, რასაკვირველია, ასეთ წყაროს მოკლებული იყო და ხალხში აგროვებდა ყოველივე ხარჯის დასაფარავ თანხას. დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით ეკიდებოდა ხალხი საარჩევნო აგიტაციას და პარტიისათვის უკანასკნელ გროშს არა ზოგავდა. მარტო ერთ გაზეთის რედაქციაში სულ ერთ კვირის განმა

---

*) უმრავლესობა მუშებისა ტრედ-უნიონების გარეშე არიან. ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

გორც იქმნა, ამ დღეებში სამოსწავლო ოლქის მზრუნველმაც მოახდინა საჭირო განკარგულება და თავის ოფიციალურ მოწერილობით აცნობა—სამინისტრომ შეიწყნარა ქუთაისის თავად-აზნაურთა შუამდგომლობა და ნება დართო პროგიმნაზიული კლასები გიმნაზიად გადაკეთდესო. მოწერილობის მიღებისთანავე სასწავლებლის გამგე შეუდგა საქმეს და 1 მარტს სასწავლებელში კიდეც გაიხსნება მეხუთე პროგიმნაზიული კლასი, შემდეგ ყოველ წელს მოემატება თითო კლასი, სანამ სასწავლებელი რვა კლასიანად გახდებოდეს.

◆ როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის სასწავლებლები ყველა დაკეტილია. ამ გარემოებამ ძლიერ ჩააფიქრა მოსწავლეთა მშობლები. ერთის მხრივ—სასწავლებელთა უფროსები წინადადებას აძლევენ მშობლებს, თუ თქვენ პირობას დაგვიდებთ, რომ თქვენი შვილები შემდეგში მაინც არავითარს უწესოებას არ მოახდენენ, ვეცდებით, რომ სასწავლებლები გაიხსნასო. ასეთ პირობის შეწყნარება, მოგეხსენებათ, შეუძლებელია. მეორე მხრივ—მოსწავლე ახალგაზდობა კატეგორიულს უარს უცხადებს თავის მშობლებს სასწავლებლებში დაბრუნებაზე, სანამ ჩვენი მოთხოვნილებანი არ იქმნება დაკმაყოფილებულიო. მათი მოთხოვნანი კი მარტო სამოსწავლო ფარგლით არ განისაზღვრება. 27 თებერვალს მშობლებს კერძო კრება ჰქონდათ, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მოსწავლენიც. მშობლებს უნდოდათ რაიმე ღონისძიება გამოენახათ, რომ სასწავლებლები და მოწაფეები შეერიგებინათ. კრებაზე ბევრი ილაპარაკეს როგორც მშობლებმა, ისე მათმა შვილებმა. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. შვილებმა უთხრეს მშობლებს: ჩვენ არ შეგვიძლიან დავუბრუნდეთ სასწავლებელს და განვაგრძოთ სწავლა მანამდის, სანამ ეხლანდელი წეს-წყობილება არ შეიცვლება, სანამ სასწავლებელი არ გადაკეთდება ისე, რომ აღზარდოს ნამდვილი ადამიანები, და არა უსულ-გულო ტიკინები, „20 რიცხვის მოხელეებიო"-. ამასთანავე მათ დიდი სიხარული განაცხადეს, რომ მშობლებსა და შვილებს შორის აღმართული „ჩინეთის კედელი" დაირღვა და მშობლებმა თავიანთი შვილები მათთან ლაპარაკის ღირსად გახადესო. მხოლოდ მხრები-ღა აიჩეჩეს მშობლებმა და გამოვიდნენ დარბაზიდან. „სწორედ გვაჯობეს და რაღა უნდა ვუთხრათ"-ო, შემომჩივლა გზაში ერთმა მშობელმა.

◆ 27 თებერვალს ქუთათურ მსახიობთ უნდა წარმოედგინათ ცნობილი დრამა „კაიუს გრაკხი", მაგრამ ადმინისტრაციამ ნება არ დართო. ამ პიესის ნაცვლად მოუმზადებლად წარმოადგინეს პროტოპოპოვის დრამა „ცხოვრების გარეშე".

სოფლის მასწავლებელნი

თავიდანვე იმერეთის სოფლის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილის მუდმივ ლტოლვილებას შეადგენდა ისეთ დაწესებულების დაარსება, რომელიც შეძლებას მისცემდა მასწავლებელთ დრო გამოშვებით ერთმანეთს შეხვედროდნენ, თავი ერთად მოეყარათ. ამ აზრით ისინი ბევრს ეცადნენ, ბევრნაირ საზოგადოების დაარსება განიზრახეს, მაგრამ ამაოდ, დირექცია ყველაფერს ბოლოს უღებდა. ბოლოს, როგორც იყო, მასწავლებელნი ეღირსნენ „მომხმარებელ საზოგადოების" ნებართვის აღებას, მაგრამ, როგორც ამ დღეებში გავიგეთ, „საზოგადოება" ვერ დაარსდა და ნებართვას ვადა გაუვიდა. საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუფერხებია პატივმოყვარეობის ნიადაგზე აღმოცენებულ ინტრიგებს. ზოგიერთ მასწავლებლებს შეურაცხყოფად მიუღიათ, რომ ახალგაზდებმა მოახერხეს „საზოგადოების" ნებართვის აღებაო. იმათ თუმცა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს ახალგაზდებს, ყველაფერში დახმარება აღუთქვეს, პაების გაყიდვის აგენტურა-ც-კი იკისრეს, მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე ყოველივე ეს ლიტონი სიტყვები ყოფილა.

აქ სამწუხარო ის კი არ არის, რომ სიმპატიურ საქმეს მტრები გაუჩნდნენ,—ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს დროში,—აქ სამწუხარო ის არის, რომ სოფლის მასწავლებლებს დღემდის ვერ შეუგნიათ თავიანთი ნამდვილი ინტერესები და მტერი მოყვრისაგან ვერ გაურჩევიათ. გვეტყვიან, ნუ თუ ასეთი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ „საზოგადოების" დაარსებასაო? ჩვენს დაბეჩავებულ სოფლის მასწავლებელთათვის, უნდა გამოვტყდეთ, მართლაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჩვენში მასწავლებელთა წრე დაქვეითებულია გონებრივად და ზნეობრივად. ისიც აშკარაა, რომ ამისი მიზეზი ჩვენის დროის ბიუროკრატიული რეჟიმია, რომელსაც ჩვეულებრივ ყოველგან უვიცობა და დემორალიზაცია შეაქვს. მაშასადამე, მასწავლებელთათვის საჭიროა ისეთ ფაქტორის შექმნა, რომელსაც მეტის სინათლის და მეტის „ერთობის" შეტანა შეეძლოს მასწავლებელთა წრეში. ასეთ ფაქტორის როლს ჯერ-ჯერობით აღნიშნული „საზოგადოება" შეასრულებდა. იგი თავდაპირველად მშვენიერი პრაქტიკული სკოლა იქნებოდა, სადაც მასწავლებლები თავიანთ საქმეების მართვა-გამგეობას მიეჩვეოდნენ. მეორეს მხრივ, „საზოგადოება" საშუალებას მისცემდა მასწავლებლებს პროფესიონალური ეთიკა შეექმნათ და მით საეჭვო ზნეობის კოლეგები ალაგმათ. ამნაირად, „მომხმარებელ საზოგადოების" დაარსება, ჩვენის აზრით, პირველი ნაბიჯი იქნებოდა მასწავლებელთა პროფესიონალურ ორგანიზაციის შექმნისაკენ, იმ ორგანიზაციისა, რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობენ დღეს მთელი რუსეთის პრესსა და პედაგოგები.

დღევანდელი დღე დიდებული მომენტია რუსეთის ცხოვრებაში. დღეს ძველი, გახრწნილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამუდამოდ ირღვევა და იმის ადგილს იჭერს ახალი ორგანიზაცია, რომელიც, რასაკვირველია, დროის შესაფერ ცოდნას მოითხოვს ყოველ მოღვაწისაგან. გვიახლოვდება განკითხვა-განსამართლების დღე და მოდის მსაჯული—განახლებული ცხოვრება. მერე მზადა ვართ თამამად წარვსდგეთ ამ მსაჯულის წინაშე? აი კითხვა, რომელზედაც ღრმა დაფიქრება ყველაზე უწინ მასწავლებლებს მართებს.

ვ. გარდავაძე

რუსეთის ქრონიკა

უმაღლეს რესკრიპტის გამო. „ეკო დე პარი"-ს ცნობებით, შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი გადაწყვეტით თხოულობდა რესკრიპტის გამოცხადებას ხალხის წარმომადგენელების მოწვევაზე. ცარსკოე სელოდან საღამოს ექვს საათზე, 18 თებერვალს, ყველა მინისტრები „პრავიტელსტვენი ვესტნიკ"-ის სტამბაში წავიდნენ; 7 საათზე რესკრიპტი უკვე ვრცელდებოდა. მინისტრთა საბჭოში, რომელმაც ხალხის წარმომადგენლების მოწვევა დაადგინა, არ ყოფილა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ვიტტე. ს. ი. ვიტტე ფაქტიურად აღარ არის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე მას შემდეგ, რაც გამოიცა მანიფესტი და ბრძანება სენატისადმი. ეხლა კომიტეტი უმთავრეს ფუნქციებს აასრულებს თვითონ ხელმწიფის თავმჯდომარეობით. როცა საერო კრება მოწვეული იქნება, მინისტრთა კომიტეტისა და მის კომისიების მოქმედება შესამჩნევად შემცირდება. ამგვარად ს. ი. ვიტტე, როგორც წინადაც ამბობდნენ, სრულიად დაანებებს თავს სახელმწიფო საქმეებს. როგორც ცნობილია, დეკემბერში ს. ი. ვიტტე წინააღმდეგი იყო საერო კრების მოწვევისა. („კ. გ.").

სტუდენტების გაფიცვა. 20 იანვარს ნოვოალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს ინსტიტუტში, კრება ჰქონდათ რომელზედაც პროფესორებიც იყვნენ მოწვეულნი. ბევრ კამათის შემდეგ პროფესორები გავიდნენ და კრებამ ერთხმად, მტკიცედ აღიარა დღევანდელ რეჟიმის უვარგისობა და ამისთანა პირობებში და გარემოებებში სწავლის განგრძობის შეუძლებლობა, ამისათვის ერთხმადვე (188 კაცი) დაადგინა დაიხუროს ინსტიტუტი მომავალ სექტემბრამდის. ამის შემდეგ ასისტენტებმა განაცხადეს, რომ რადგანაც სტუდენტებმა სწავლა შესწყვიტეს, ჩვენც შეუძლებლად მიგვაჩნია განვაგრძოთ ასისტენტობის მოვალეობის ასრულებაო.

კუროპატკინის თხოვნა. „რუსსკი ლისტოკ"-ი იტყობინება, რომ მოსკოვში რამდენსამე წარჩინებულ პირს მოსვლია ამ დღეებში დეპეშები გენ. კუროპატკინისაგან, რომელიც სთხოვს მათ—ილოცეთ, ღმერთს შევედრეთ გამარჯვება მოგვცესო.

საომარ დროის წესები გამოცხადდა მოსკოვ-ბრესტის რკინის გზაზე. („ნოვ.").

საქმეთა მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობამ 25 თებერვლის სხდომაზე საბოლოოდ ის აზრი გამოთქვა, რომ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია; ამგვარივე აზრი გამოსთქვეს პეტერბ. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორებმა. („რუს").

პატარა ფელეტონი

თელავის ყეინობა და არა ჩვეულებრივი შედეგი.

(წერილი თელავიდან)

28 თებერვალი დაიწყო თოვლ-ჭყაპით. დილის 9 საათზედ ვახსენე წმიდა ორშაბათი და წაველი დინჯილის სასეირნოდ. ჯერ ნახევარი ბაზარი არ გამევლო, რომ დიდის სისწრაფით დაიწყეს მედუქნეებმა დუქნების კეტვა. ამ სისწრაფეში მარტო ერთი წესი შევნიშნე: ჯერ იკეტებოდა დასავლეთის მხარე, მერე მოყოლებით ერთი მეორის მიბაძვით იკეტებოდა აღმოსავლეთისაკენ. თვით დაკეტვას-კი რაღაც შიშის ზარის გავლენა ეტყობოდა. მედუქნეები ყველანი, გაურჩევლად ხალხოსნობისა და წლოვანებისა, გაფითრებულნი იყვნენ. როცა ორს სამს შევეკითხე, რა ამბავია, რადა ჰკეტავთ-მეთქი, ბუნტიაო,—მიპასუხებდნენ.

წავედი წინ და გავიგე, რომ მაწანწალებს ყეინი მოჰყოლებიათ, ნახევარი თელავი—ძველი თელავი—მშვიდობით გამოუვლიათ; როცა სდომებიათ გადმოსვლა რიყესი, რომელიც ჰყოფს ძველსა და ახალ თელავს, დახვედრია თელავის ბოქაული საერობო დარაჯებით და აუკრძალავს ყეინობა. მოყეინეთ მოუნდომებიათ წინ წამოსვლა, ამათ არ გამოუშვიათ, დაუწყიათ ცემა, მოყეინეთ ქვით მოუგერებიათ და ბოქაულისათვისაც აუძვიათ. საერობო დარაჯთ ცემის გარდა იარაღიც უხმარიათ, ერთი დაუჭრიათ ფეხში, წვივის კუნთში გაუვლია ტყვიას, ორიც მსუბუქად ტყვიას გაუკაწრავს.

მე რომ მივედი, უკვე მოყეინენი დაფანტულიყვნენ, სამაგიეროდ დაკეტილ დუქნების მედუქნეები შეჯგუფებულიყვნენ. გამოსულიყო მაზრის უფროსის თანაშემწე გ. ყიფიანი და ხალხს ჰკითხავდა ამბავს. თან ახლდა ბოქაულის თანაშემწე. მცირე ხნის შემდეგ მაზრის უფროსიც გამოვიდა, გამოიკითხა ამბავი და წავიდა ადგილობრივ ბატალიონის უფროსთან. მალე მაზრის უფროსი დაბრუნდა შეიარაღებულის რაზმით, რომელიც მაზრის თავში დაამწკრიეს.

როგორც აღმოჩნდა, საერობო დარაჯებს ცხენებით უძებნიათ ქუჩებში და გამვლელ-გამომვლელისათვის უცემიათ, ზოგისთვის თავიანთ სახლის კარებ'ზედ. ყველაზედ ბევრი უცემიათ მეწაღე გასპარ მოსიევისათვის, ამბობენ, მცემელს უთქვამს, ამან ცუდი წაღები მომიყიდაო; უცემიათ არტემ ტერ-არუთინოვისათვის, რომელიც ახმეტაში აპირებდა წასვლას თავ. ვახვახიშვილთან ერთად. მოქალაქეებმა მაზრის უფროსს აუხსნეს ხალხის ჩვეულება. სთხოვეს მიეცა ნება ყეინობის თამაშობისა და მშვიდობიანობის და წესიერების დაცვის თავდებობა თვითონ იკისრა ათმა კაცმა. დილანდელი ყეინი და საყეინო სამკაული მიემალ-მოემალათ. ხელად დასდგეს ყეინები, თავზედ შაქრის ქაღალდი ჩამოაცვეს, მისცეს ხელში ვაშლ-წამოცმული ჯოხი და დაიწყეს სიარული.

შუადღის შემდეგ 2 საათი იქმნებოდა, როცა რამდენიმე ათასმა სულმა 5 ყეინის წინამძღოლობით მოაწია ნადიკვრამდის. აქ სამაზრო გამგეობისა და საერობო დარაჯის სადგომის გალავანთან დაისვენა და უკან დაბრუნდა. ხალხში სოფლელიც ბევრი იყო, ყველა წოდებისა, უწყებისა და ხელობისა ერივნენ. უკან დაბრუნებისას გაიარა მთელი თელავი და დაიშალა. ვიღაცას გაევრცელებინა ხმა, თქვენი ამხანაგები დაიჭირესო. საღამოს 7 საათზე პოლიციასთან გაჩნდა ნაქეიფარი ხალხი და თხოულობდა დამწყვდეულის განთავისუფლებას. რამდენიმე ფანჯარაც გატეხა. მერე თვითონვე დაიშალნენ, როცა უთხრეს, არავინ არ დაუჭერიათო.

მნახველი.

მეთამბაქოების ბედი შავი ზღვის პირად.

2 მარტს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ამ სათაურით მოხსენება წაიკითხა ა. ა. ქალანთარმა. კრებას მრავლად დაესწრნენ მეთამბაქოთა წარმომადგენელნი და თამბაქოს ზოგ ქარხნის პატრონნი. მომხსენებლის აზრით, თამბაქოს კულტურის განვითარებას შავი ზღვის პირად ხელი შეუწყეს უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში მცირე აზიიდან გამოსულმა სომხებმა, ბერძნებმა და ლაზებმა, რომელიც იჯარით იღებენ კერძო მემამულეთა ადგილებს და მუშაობენ. თუმცა აქა-იქ მეთამბაქოობას წინადაც მისდევდნენ, მაგრამ წარმოება გაძლიერდა ამ უკანასკნელ ხანებში. სულ ამ კუთხეში მოჰყავთ ერთ მილიონ ფუთამდე, რაც იყიდება არა ნაკლებ 10 მილიონ მანეთისა. თამბაქოს კულტურის გაფართოებამ დიდი სარგებლობა მოუტანა როგორც ხაზინას, ისე ადგილობრივ მემამულეთ, რადგან ადგილის ფასმა აიწია. მეთამბაქოობას შავი ზღვის პირად მისდევს 5700 კომლი სხვა მხრიდან გადმოხვეწილი, სულ 30,000 სული. სომხები აქ რუსეთის ქვეშევრდომებად არ არიან. მთავრობამ ამ რამდენისამე წლის წინად ვადა მისცა სათათრეთიდან გადმოხვეწილ სომხებსა და ბერძნებს, რომ 1905 წლის პირველ აპრილამდე წავიდნენ სოხუმის ოლქიდან. მომხსენებელმა ურჩია საზოგადოებას შუამდგომლობა აღძრას მთავარმართებლის წინაშე, რომ სოხუმის ოლქში მეთამბაქოეთ მიეცეთ ისეთი უფლებები, როგორც, მაგალითად, სამთამადნო მწარმოებელთ და მექარხნე-მეფაბრიკეთ აქვთ,

აგრონომმა დემენტიევმა აღნიშნულ მოხსენების წინააღმდეგ ილაპარაკა. განა რა უშლითო, სთქვა მან,—მიიღონ სომხებმა რუსეთის ქვეშევრდომობა? მიზეზი ის გახლავთ, სხვათა შორის, რომ ისინი კარგა ბლომა ფულს იღებენ და სულ ერთიან სამზღვარ-გარედ პიაქვთ. ესეც არ იყოს, თამბაქო მეტად აფიტებს მიწას, რაც საზოგადოდ მეურნეობის არა სასურველი მოვლენაა. აგრეთვე უცხო ელემენტი ადგილობრივ მცხოვრებთ, მაგ. ყუბანის ოლქში, მეტად აწუხებს და სხვა. ორატორმა სთქვა, საჭიროდ მიმაჩნია ვრცლად ამ საკითხის გაცნობაო. ბ-ნმა ვ. რცხილაძემ [illegible] ხანს ილაპარაკა ამ საკითხის შესახებ. არავისათვის ახალი ამბავი არ არის, რა შევიწროებულია საკმაო მიწა-წყლის უქონლობით კავკასია და კერძოდ ქუთაისის გუბერნია, სადაც თითო მცხოვრებს ორთა შუა რიცხვით ორი-სამი ქცევა მიწა თუ ხვდება. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ეხლანდელი უკმაყოფილება გამოწვეულია მიწების სივიწროვით და მით დაღარიბებულ მდგომარეობით. სოხუმის ოლქიდან ჩერქეზებმა და ბევრმა წილმა აფხაზებისამ სათათრეთისაკენ გაიწიეს და დიდ ძალი ადგილი დარჩა თავისუფალი. გურიისა, სამეგრელოსა და სხვა კუთხის მცხოვრებთ ითხოვეს ადგილები და მათ ერთი ნაჭერიც არავინ დაუთმო. რას ემსგავსება სამეურნეო საზოგადოებამ გვერდი აუაროს ადგილობრივ მცხოვრებთა უსაჭიროეს მოთხოვნილებას და შუამდგომლობა აღძრას, რომ უცხო ხალხისათვის ფართოთ კარები გავაღოთ და ჩავისახლოთ. მართალია, თამბაქოს კულტურამ ფასი მოუმატა ადგილებს, სარგებლობა აქვს მემამულეთ და ქარხანას, მაგრამ ეს დიდად საზარალო იქნება საზოგადოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვისო. ორატორის აზრით, უნდა გადაიდოს ქალანთარის მოხსენების განხილვა მასალების შეკრებამდე. არტ. ეფიანჯიანცი ვრცელს სიტყვაში ამტკიცებს, რომ ძალიან დაეცემა თამბაქოს საქმე ჩვენში, თუ სოხუმის ოლქიდან მეთამბაქოენი დაითხოვესო. გენერალი თავ. პოლიკარპ შერვაშიძე მიემხრო მომხსენებლის წინადადებას. თავადი ამტკიცებდა, გაოცებული ვარ, რად უნდა დავითხოვოთ ეს ხალხი, რომელსაც მათ ადგილებს ფასი მოუმატეს და შრომობენ. ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ სარგებლობენ თავიანთ მდგომარეობით, ისინი მარტო სიმინდს თუ სთესენ და დანარჩენ დროს, აქამდე მაინც, ცხენის ქურდობასა და სხვა ამ გვარ ავაზაკურ მოქმედებას მისდევდნენო. თავადის სიტყვით არც გადმოსახლებული რუსები აკეთებენ რასმეს. ვინც მალიარიას გადაურჩა, მუქთა ცხოვრებას მიეცა. მიწებით, რომელიც მათ მიეცა, თითონ არა სარგებლობენ, ქირით მეთამბაქოეთ აძლევენ და ათონსა და სოხუმს შუა დასეირნობენ და ცუდს ყოფა-ქცევას ეძლევიან. მე კერძოდ დიდი მამულები მაქვს და რადგან ჩემ მოიჯარადრეთაც მოითხოვეს წასვლა, ჩემდა თავად უკვე ვიშუამდგომლე დასტოვონ ისინი ჩემ ადგილებში, როგორც ჩემი მუშებიო.

[illegible] დიდი კამათი [illegible] გამოიწვია. კრებამ დასასრულ მიიღო წინადადება ბ-ნ ქალანთარისა და ამოირჩია განსაკუთრებული დეპუტაცია შემდეგ პირთან თავ. პ. ლ. შერვაშიძისა, ა. ქალანთარისა და პ. ტარატინოვისაგან და დაავალა მას შუამდგომლობა წარუდგინონ კავკასიის მთავარ-მმართებელს, რომ სოხუმის ოლქში იჯარით აღებულ მიწებზე დასახლებულ სომხობას ნება მიეცეს იქ დარჩეს.

წერილი რედაქციის მიმართ

I

როგორც მთელ რუსეთში, ამიერ კავკასიაშიც აირ-დაირია სკოლის საქმე: ჩვენი შვილები ველარ სწავლობენ, აღელვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთმა მდგომარეობამ სამწუხარო ამბები გამოიწვია სხვაგან; ჩვენშიც იგივეა მოსალოდნელი და ჩვენ კი არას ვღონობთ. აუცილებელია შევიკრიბნეთ მშობლები, და ერთად კოლექტიურად ვიმოქმედოთ როგორც ჩვენ შვილებზე, ისე სამოსწავლო მთავრობაზედაც. მე გავიგე, რომ განზრახვა აქვთ კვირას შეიკრიბნენ; საჭიროა რაც შეიძლება მეტი საზოგადოება მოგროვდეს.

ერთი დედათაგანი

II

თქვენის გაზეთის 19 თებერვლის ნომერში მოთავსებულია წერილი ბ-ნ იოსებ მაჭავარიანისა, სადაც ვკითხულობთ, რომ მეტეხის საპყრობილეში არსებობს წიგნთ-საცავი, მაგრამ არ მოიპოვება ქართულის წიგნების განყოფილებაო.

გასაოცარია და სავალალოც, ღმერთმანი! ჩვენ იქ ყოფნის დროს, 400—500-მდის წიგნი შევკრიბეთ, ცალკე სია გავუკეთეთ წიგნებს და ცალკე შკაფიცა ჰქონდა ქართულ წიგნებს. ნ

ლობაში შემოვიდა 15 ათასამდე მანეთი. ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად დაინტერესებული იყო ხალხი სოციალისტურ პარტიის გამარჯვებაში. შეგროვილ ფულით წიგნაკები და ფურცლები იბეჭდებოდა და ხალხში ვრცელდებოდა. ქუჩა ყოველ საღამოს ფურცლებით იფინებოდა; ხალხი ამ ფურცლებს ჰკრებდა და შიგ საპრეზიდენტო კანდიდატების სურათებს ხედავდა, მოკლედ და პოპულიარულად და[illegible] პროგრამას ეცნობოდა. „აი, რას ამბობს [illegible]", „პარკერი ტრესტების წინააღმდეგ", „რა უნდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას"?—ასეთ სათაურებს ხშირად წაიკითხავდით ქუჩაში მოფენილ ფურცლებზე.

თვითეული პარტია სცდილობდა წინდაწინ გაეგო მოსალოდნელ ხმების რაოდენობა. რედაქციები ადვილად აკრებდნენ შესაფერ ცნობებს, და ერთის კვირის წინად უკვე იცოდნენ დამოკიდებულება რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ პარტიისა. ეს დამოკიდებულება იხატებოდა ორ ციფრში:—6:1; ესე იგი რესპუბლიკანურ პარტიის ძალა ექვსჯერ აღემატებოდა დემოკრატიულისას. ამერიკელები წამდაუწუმ ერთმანეთს ენაძლავებოდნენ: „თუ რუზველტმა გაიმარჯვა, თქვენ ჩემ სასარგებლოდ გადაიხდით ექვსჯერ მეტს იმ თანხაზე, რომელიც პირობითაა განსაზღვრულიო",—ეუბნებოდა რესპუბლიკანელი დემოკრატს დანაძლავების დროს „ვინც წააგებს ჩვენ ორში, ვალდებულია ექვსი კვირის განმავლობაში თმა და წვერ-ულვაში მოპარსულმა იაროსო". „ვინც ამ არჩევნებში მოიგებს, იმას ნება ექნება წამგები თხაზე შესვას, ქუჩაში ატაროს და წამდაუწუმ აძახებინოს: მე „სულელი ვარო"!—ასეთ საუცხოვო ფაქტებს ხშირად წაიკითხავდით გაზეთებში.

კიდევ კრებები, კიდევ ურიცხვ ხალხის წინაშე რუზველტი, პარკერი და დებსი თავისს პარტიულ მრწამსს აღიარებენ, კიდევ ქუჩის დემონსტრაციები და ამასობაში რვა ნოემბერიც დადგა. არჩევნების დღეა. ქუჩა მიწყნარდა, აგიტაცია შესწყდა, ხალხი დილის ექვსი საათიდან მიეშურებოდა იმ ადგილისაკენ, სადაც ხმებს კრებდნენ. ჩუმად, საიდუმლოდ ხდებოდა ყველაფერი ვინ ვის აძლევდა ხმას, არავის არ უნდა სცოდნოდა. საარჩევნო ბილეთები უმეტეს ნაწილად წინდაწინ დაერიგებინათ. ბილეთებზე ცალ-ცალკე ფარგლებში აღნიშნული იყო ექვსი პოლიტიკური პარტია. ამათში უმთავრესი ხსენებული სამი პარტიაა; მათ გარდა შეუძლიათ კანდიდატები წამოაყენონ კიდევ სამ მეორე ხარისხოვან პარტიას: პოპულისტებს, პროჰიბიციონისტებს და სოციალისტურ მუშათა პარტიას *). ბილეთზე დახატულია პარტიული ემბლემა და ემბლემის ქვემოდ დასახელებულია ყველა კანდიდატი პრეზიდენტიდან კონგრესის და სენატის დეპუტატამდე. ყოველმა ამრჩეველმა ამა თუ იმ ფარგალში შავი კარანდაშით უნდა აღნიშნოს თავისი ხმა. სხვა ფერის კარანდაშით ან მელნით აღნიშნული ხმა არ ირიცხება. ხშირად რესპუბლიკან-დემოკრატიულ პარტიის მიერ დაქირავებული პოლიტიკანები ხმის მისაცემად მიმავალ მუშას გზაში აჩერებდნენ და მეგობრულად სხვა ფერის კარანდაშებს აწოდებდნენ და იმის ხმას ამნაირად გაუქმებას სცდილობდნენ, მაგრამ მათი ცდა უმეტეს ნაწილად უნაყოფოდ რჩებოდა.

სანამ გავაგრძელებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს აქაური წესი, პრეზიდენტის არჩევნების დროს მიღებული.

პრეზიდენტს აქ პირდაპირ არ ირჩევენ. საზოგადოდ თვითეული შტატი ირჩევს ამომრჩევლებს, რომელნიც თავის მხრივ ირჩევენ პრეზიდენტს. ამომრჩეველთა რიცხვი ამა თუ იმ შტატში დამოკიდებულია მცხოვრებთა რაოდენობაზე. ყოველ ათ წელიწადში იკრიბება სტატისტიკური ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ და ამის მიხედვით ისაზღვრება დეპუტატთა რიცხვი პალატაში *). ამას გარდა თვითეულ შტატს ჰყავს ორ-ორი წარმომადგენელი სენატში. რამდენიცაა მთელ შეერთებულ შტატებში დეპუტატი და სენატორი, იმდენი უნდა იყოს, კანონის ძალით, თვითეულ შტატში პრეზიდენტის ამომრჩეველი. საარჩევნო უფლება ამერიკაში ერთგვარი არ არის, ყოველი შტატი დამოუკიდებლად ადგენს შესაფერს კანონებს. საზოგადოდ ამომრჩეველი უნდა იყოს არა ნაკლებ 21 წლისა. ზოგიერთ შტატში საარჩევნო უფლება ასე თუ ისე განსაზღვრულია: თავის სახელის დაწერა, და ცოტად კითხვა უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდაო,—ამბობს ერთ შტატში მიღებული კანონი.—ამომრჩეველი 90 დღე მაინც უნდა ირიცხებოდეს მოქალაქედ და ამას გარდა ერთი წელიწადი შტატში სცხოვრობდეს, სამი თვე პროვინციაში (Kounthy) და 30 დღე საარჩევნო წრეში (Election dihfrikt),—ასე ყოფილა მიღებული ნიუ-იორკში. სამაგიეროდ განსაზღვრულია საარჩევნო უფლება სამხრეთის იმ შტატებში, სადაც ზანგები სცხოვრობენ.—ყველა, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა იყოს მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, ან ისეთის კაცის ჩამომავალი, რომელსაც 1 იანვარს 1867 წელს არჩევნების უფლება ჰქონდაო—ასეთია კანონი სამხრეთის შტატებში. აქაური კონსტიტუცია მოითხოვს ზანგების სხვა მოქალაქეებთან თანასწორობას უფლებების მხრივ. ხსენებული კანონი კი მათ საარჩევნო უფლებას აცლის ხელიდან: მესაკუთრეს მათში, მეტადრე მუშათა კლასში, სანთლით ვერ იპოვნით, წერა-კითხვა მათ არ იციან თეთრ-კანიან გვლენიან მოქალაქეთა წყალობით, ყოველსავე ამას რომ თავი დავანებოთ, არც ერთ „შავს" იქ 1867 წ. საარჩევნო უფლება არა ჰქონია. „ვერავინ ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ვინც უარჰყოფს ყოვლად შემძლე ღმერთის არსებობასო, აი რას ამბობს უცნაური კანონი ერთ ჩრდილოეთის შტატში (nord korolina-ში). დასავლეთის რამდენსამე შტატში ქალებსაც აქვთ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

ყოველი შტატი დაყოფილია საარჩევნო უბნებად. თვითეულში იკრიბება ხმები. ხმების კრება სრულის საიდუმლოებით არის მოცული. ამომრჩეველი მიდის დანიშნულ ალაგას, ჩუმად ზემოხსენებულ ბილეთზე ნიშნავს თავისს ხმას და ჩუმად გარედ გამოდის. საარჩევნო ადგილის მახლობლად (ას ნაბიჯზე) ორ კაცს ერთად ლაპარაკის ნება არა აქვს. მეტის საიდუმლოების დასაცველად ეხლა ხან ზოგან შემოიღეს მანქანა, რომელიც არჩევნების შედეგს ავტომატიურად აჩვენებს. ეს საარჩევნო მანქანა ისეთი პრაქტიკული გამოდგა, რომ მომავალში, როგორც ამბობენ, საერთო ხმარებაში შევა.

ასე შეკრებილ ხმებს ვაშინგტონში არჩევე და იქიდან დეპეშით ატყობინებენ ყველას, თ რომელ პარტიას რამდენი ხმა ერგო. ღამის 1 საათზე ჩვეულებრივად ირკვევა ამა თუ იმ კანდიდატის ბედ-იღბალი. ამ დროს ყველა მოუთმენლად ელოდნენ. საღამოს ქუჩა მიწყნარებული იყო. მხოლოდ აქა-იქ დაინახავდით გაფაციცებით მოსიარულე რესპუბლიკანელებს, ქუდებზე სქელი ქაღალდი ჰქონდათ მი რული და ზედ მსხვილის ასოებით ეწერათ: „ხოგიაიხარი"-ო. ეტყობოდათ, დარწმუნებულნი იყ ნენ რუზველტის გამარჯვებას და სიხარული მიეშურებოდნენ ქალაქის გამგეობისაკენ. მიიჩქაროდა ყველა, დიდი და პატარა, იქ 1 საათ'ზე გაიგებდნენ, რის გაგებაც უნდოდათ.

ურიცხვი ხალხი მოგროვილიყო ქალაქის გა გეობის მოედანზე. ორეულობა, აუტანელი ხმა რობა თავ-ბრუს ახვევდა ადამიანს. მახლობლა ორი გაზეთის რედაქცია ჩანდა: რესპუბლიკანუ „ჰერალდ"-ისა და დემოკრატიულ „ვორლდ"-ის მაღლა მესამე სართულის ვეებერთელა ფანჯარ ზე ხელი ციფრებს ხატავდა: ამა და ამ შტატ ში რუზველტმა მიიღო ამდენი ხმა, პარკერ ამდენით ნაკლებით.—ურა!—გაიძახოდნენ რე პუბლიკანელები სიამოვნების ნიშნად.—უუუ!- მოისმოდა დემოკრატებისაგან უკმაყოფილობ ნიშნად. ასეთის ხმაურობით მოცული იყო ჰა რი, სანამ არ მოვიდა უკანასკნელი ცნობა რუზველტმა გაიმარჯვაო.

სეთი.

(დასასრული იქნება)

---

*) ეს უკანასკნელი განცალკევებულია საზოგადოთ სოციალურ პარტიისაგან. იმის პროგრამაზე მერე მოვილაპარაკებთ.

*) Represeutativ House.

თუ მართლა იმდენ ქართულ წიგნებიდან აღარა მოიპოვება-რა მეტეხის საპყრობილის წიგნთსაცავში?!! თუ ეს მართალია, სწორედ გითხრათ, იმ წიგნების განადგურებას მივაწერ მარტო ბარბაროსის გულსა და ხელს, და ამისათვის ბ-ნ მაჭავარიანს, ეგ მისგნით შეგროვილი ფული და წიგნები, ვურჩევ ან ისევ რომელსამე სოფელში დაურიგოს შეუძლებელ და მსურველ მკითხველებს (რომელიც ძალიან ბევრი მოიძებნება სოფლად და ყურადღებას-კი არავინ აქცევს), ან არა და ისევ მტკვარში გადაჰყაროს, ვიდრე ზემოხსენებულ პატრონებს ჩაუვარდეთ ხელში. მაგრამ არა, არა მგონია, ის იმდენი წიგნები დაეღუპოთ ასე უწყალოდ. მე, მეტეხის ციხეში ყოფნის დროს, ვითხოვე და მომცეს კიდევ წიგნები: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოება“-მ, წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ, ტფილისისა და ქუთაისისამ, ბ-ნმა ი. იმედაშვილმა და სხვა კერძო პირებმაც. ეს წიგნები ყველა ცალკე რვეულში გვქონდა ანუსხული, და, როგორც ზევითა ვსთქვი, ცალკე შკაფიც გვქონდა ამისათვის. როცა აღარ ეტეოდა, მე ვაპირობდი, და უეჭველად ავასრულებდი კიდეც, რომ დავრჩენილიყავი, უფასო ფართო შკაფი შეგვეძინა ქართულ წიგნებისათვის. კვირაში ორჯელ ვურიგებდით მსურველთ წიგნებს წასაკითხად. წიგნების დარიგება დავალებული ჰქონდა ჩემგნით ბ-ნ დვალსა და ხუციშვილს და მშვენივრადაც მიდიოდა საქმე. რა იქნა ის იმდენა წიგნები?!

ქალ. დარუბანდი, დაღესტნის ოლქი.

მღ. მ. ჯავაშვილი.

III

„ცნობის ფურცლის“ მე-2752 №-ში დასტამბული იყო წერილი ღრმად პატივცემულ ჩემ თანამოსამსახურის დეკანოზის ანტონ თოთიბაძის, რომელსაც იძულებული ვარ ამავე გაზეთის საშუალებით საჯაროდ ვაცნობო (კერძოდ პირადათ ნათქვამით არ დაკმაყოფილდა), რომ მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ტფილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში 28 იანვარს მომხდარ უწესოების მიზეზთა გამოსარკვევად დანიშნა განსაკუთრებული კომისია. წევრად ამ კომისიისა მამა ანტონი არ იყო დანიშნული და, მაშასადამე, მის სხდომებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. სასწავლებლის საბჭოს ჰქონდა სხდომა ხსენებულ საქმის გამოსარკვევად მხოლოდ ერთხელ, როდესაც მამა ანტონი, როგორც წევრი საბჭოსი, იყო მიწვეული და კიდევაც ბრძანდებოდა. ამ სხდომას არავითარი გადაწყვეტილება არ დაუდგენია, მხოლოდ ჩამოერთვა ჩვენება აღნიშნულ სასწავლებელში მოსამსახურეთ: მასწავლებლებსა და აღმზრდელებს; ეს მათი ჩვენება უცვლელად შეტანილი იქნება იმ ჟურნალში, რომელიც შესდგება საბჭოს სხდომების გათავების დროს. კომისიამ გაათავა დავალებული საქმე და გადასცა საბჭოს, რომელმაც უნდა გამოიყვანოს დასკვნა. აქ, რასაკვირველია, მამა ანტონი, როგორც წევრი საბჭოსი, მონაწილეობას მიიღებს. რისთვის არ იქმნა იგი კომისიის წევრად დანიშნული, ეს უნდა კითხოს დამნიშვნელს, რაც მეტად უხერხულად მიმაჩნია პირადათ მე და, მგონი, ვერც სხვა ვინმე მიიჩნევს კანონიერად ამ კითხვის დასმას. რაც შეეხება სასწავლებლის დაკეტვას, იგი სრულებითაც არ არის დაკეტილი, არამედ საყველიეროდ და საზიარებლად იყვნენ დათხოვნილი მოწაფეები. ნაბრძანებია მეორე კვირიაკედან სწავლა ჩვეულებრივ განახლდეს.

თავმჯდომარე ტფილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოსი დეკანოზი **მარკოზ ტყემალაძე**

IV

„ცნობის ფურცელში“ ამას წინად „ქუთაისის ახალ ამბებს“ შორის მოთავსებულია ცნობა, ვითომ მე გადავეყვანეთ ქუთაისიდან თემირხანშურაში. მე ჯერ ჯერობით გადაყვანილი არა ვარ და მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „კომანდიროვკას“ ვასრულებ, ე. ი. დროებით ვარ გამოგზავნილი ქუთაისიდან.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ განუსაზღვრელ გაკვირვებას, რომ 7 თებერვალს ქუთაისის საბჭოს კრება არ შემდგარა. ვითომ ამ კრებასაც არა ჰქონდა გადასაწყვეტად ღირს შესანიშნავი საკითხები?! ჰაი, ჰაი, რომ ჰქონდა და მიტომაც არ შემდგარა!...

ექიმი გ. ქორქაშვილი.

ქ. თემირხანშურა.

V

„ცნობის ფურცლის“ მე-2720 ნომერში მოთავსებულია წერილი ჰყვიშიდან (ლეჩხუმი), რომელიც ჩემს პატიოსნებას ბღალავს და შეურაცხებას მაყენებს. უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ.

ავტორი წერილისა ბ-ნი ქიშტგაკრული ბრძანებს: ვითომც მე და ჩემი უმცროსი თანამოსამსახურენი „აგენტები“—ხალხსა ვყვლეფავდეთ, სხვა და სხვა „საიდუმლოებით მოცული“ გადასახადები გვქონდეს დაწესებული და სხ. და სხ. აქ უმცროსი „აგენტები“ რა შუაში არიან, თუ ამისთანა რამე ხდება, უეჭველად ყველაფერი ჩემგან იქნება, რადგანაც იმათი, ე. ი. უმცროსი „აგენტების“, ყოველივე მოქმედება მე უნდა ვიცოდე, როგორც იმათმა უფროსმა. ბ-ნ ქიშტგაკრულის წერილში აწერილი ამბები სიმართლეს მოკლებულია. ამის საბუთად საკმარისად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მე ექვსი წელიწადი ვმართავ ლეჩხუმში სამეგრელოს თავადის მამულს, სადაც ორი ათასზედ მეტ გლეხთან მაქვს საქმე, რომელთაგან ერთი ნახევარი ვალდებულია სამეგრელოს თავადისა და დანარჩენი მოიჯარადრენი და მე რომ მართლა ხალხის ისეთი მყვლეფელი, გულ-ქვა და უპატიოსნო ადამიანი ვიყო, როგორც ქიშტგაკრული მიწოდებს, ამდენ ხანს ვერც ამდენი ხალხი და ვერც მამულის პატრონი ვერ შემითვისებდნენ.

თავ. რამინ ჩიქოვანი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 მარტი.

სინგაპური, 2 მარტი. სინგაპურთან გადაიგდეს ღუზა იაპონიის სამმა კრეისერმა და ერთმა სანახშირე გემმა.

ლონდონი, 2 მარტი. იაპონიის ელჩმა გაიაშიმ უთხრა „რეიტ. სააგენ.“ წარმომადგენელს, რომ იაპონია არ დაიწყებს ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკს, მიუხედავათ იმ ამბებისა, რომელნიც ბრძოლის ველიდან მოვიდა ამ უკანასკნელს ხანებში.

ტოკიო, 2 მარტი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრინცი არისუგავა ბერლინში მივა, რათა გერმანიის კრონ-პრინცის ჯვრის წერას დაესწროს.

ბერლინი, 2 მარტი. ბიულოვმა სთქვა რეიხსტაგის სხდომის დროს: ყველა ქვეყნები იმ აზრისაა, რომ რუსეთის მდგომარეობა, როგორც დიდის სახელმწიფოის, არ გაუარესებულა, მიუხედავათ იმისა, რომ ბრძოლის ველზე საქმე ცუდათ მისდის. ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბაბი, უსიამოვნება მივაყენოთ რუსეთს. იაპონიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ნეიტრალიტეტს. რუსეთის მთავრობამ იცის, რომ ჩვენ არ ვისარგებლებთ მისი ეხლანდელი მდგომარეობით და არ მივაყენებთ მას უსიამოვნებასა.

სინგაპური, 2 მარტი. (ლლოიდი). გონგზანიდან იუწყებიან, რომ სოხლუნგის ზღვის კანდელთან იაპონიის 22 სამხედრო გემმა ჩაიარა.

ბერლინი, 2 მარტი. იმპერიის კანცლერმა წაიკითხა რეიხსტაგში ნემეცების ტოკიოელ ელჩის დეპეშა, საცა ნათქვამი იყო, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი დაბეჯითებით ამბობს, იაპონია დიდს მნიშვნელობას აძლევს გერმანიასთან კეთილგანწყობილებას და არა სწამს გერმანიის შესახებ გავრცელებულთ ეჭვები. იაპონიის მთავრობა პატივისცემით მოეპყრობა ნეიტრალურ სახელმწიფოების უფლებებს აღმოსავლეთ აზიაში და ეს იქნება მისი სამუდამო ძირითადი პრინციპი მომავალ პოლიტიკაში.

პეტერბურგი, 3 მარტი. მოსკოვის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ 14 იანვარს დაადგინა: გამოუცხადოს პროტესტი მთავრობას იმ ზომების შესახებ, რომელთაც მიმართა მან პეტერბურგში 9 იანვარს მომხდარ არეულობის მოსასპობად; ამ პროტესტს ზედ დაურთო მან: ვითხოვთ, დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას რუსეთში ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი მთავრობაო. საზოგადოებამ გადასწყვიტა აცნობოს თვისი დადგენილება საქალაქო და სამაზრო ყველა ერობებს, ყველა საქალაქო საბჭოებს, ვოლოსტებს და აგრეთვე ყველა სამეურნეო საზოგადოებას, რის სისრულეში მოიყვანსაც შეუდგა. როცა სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა უქვეშევრდომილესად მოახსენა ხელმწიფეს ხსენებული დადგენილება, მან ბრძანა, აღარ მისცეს საზოგადოებას ნება კვლავაც საიმპერატოროთ იწოდებოდესო.

ვაშინგტონი. რუსეთის მთავრობამ თავი მიანება შეერთებულ შტატებში სამხედრო სურსათის ყიდვას.

შანხაი, 2 მარტი. იაპონიის გენერალურ კონსულმა სღაკირომ ჩინეთში ცოდნისა და ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრების დროს სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის, სთქვა, რომ იაპონიაში 5000-ზე მეტი ჩინელია სასწავლებელში და ჩინეთში 70-ზე მეტი იაპონელი მასწავლებელია. იაპონია წინააღმდეგი არაა ჩინეთში ქრისტიანობის შემოღებისა და თუ ხელს არ უწყობს ამ საქმეს, ეს იმიტომა, რომ იგი გულ-გრილად ეკიდება საზოგადოდ რელიგიის საკითხებსო. შანხაელი ჩინური გაზეთები გაჟღენთილი არიან რუსებისადმი სიძულვილით. ნემეცები თავიანთ ფლოტს და ჯარს აძლიერებენ ჩინეთში, როგორც ეტყობა, იმ მიზნით, რომ მეტოქეობა გაუწიონ ინგლისელებს იანცზის ხეობაში და მოსთხოვონ ჩინეთს ახალი ბაზა დაუთმოს მათ პოიანხუს ტბაზე, ცზიანსის პროვინციაში.

რომი, 2 მარტი. (ჟიორნალე დ'იტალია). ტიტტონი წარუდგება პაპსა, როგორც დროებითი მინისტრ-პრეზიდენტი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 მარტი

ტოკიო, 1 მარტი. იაპონელები, რომელნიც უკან დახეულ რუსებს მისდევდნენ, 5 მილით დაუახლოვდნენ კიდეც ტელინს. ბევრი კარგი პოზიციები დაიჭირეს სამხრეთით. ტელინის აღებას მოელიან. იაპონელთ ფინანსისტების ანგარიშით ომს რუსეთისთვის ორი ათას ორასი მილიონ მანეთის ზარალი მოუტანია.—2 მარტი. დაქანცულ რუსებს მიჰყავთ დაჭრილები და კაიუანიუსაკენ იხევენ, საცა, როგორც ეტყობა, იაპონელებთან შებრძოლებას ჰფიქრობენ, თუმცა იქ მათ არ აქვთ საკმაო სიმაგრეები.—მიკადოს გვარდიის აფიცერი აგვიწერს დიდის ბრძოლის დასაწყისს, რომელიც რამდენიმე ემწვავებულს იერიშს შეიცავდა.—ერთხელ ღამით რუსებმა გასაკვირველი სიმამაცით მოიტანეს სამი კონტრ-იერიში და ხელჩართვით იბრძოდნენ. რუსებს დიდძალი მაშველი ჯარი მოუვიდა, მისცეს იაპონელებს ცეცხლი ფრთებიდან დიდი ზარალიც მიუტანეს და უკან დაახევინეს; შემდეგ რუსების ათმა ბატალიონმა მიიტანა იერიში. საშინელი ბრძოლა შეიქნა. იბრძოდნენ ხიშტებით და ხმლებით. დაბოლოს რუსები მოგერებულ იქნენ.

შანხაი. იაპონელებმა, რუსების მუკდენიდან ჩრდილოეთით დევნის დროს, დაიჭირეს ინგლისის ფლოტის კაპიტანი ეირისი, ამერიკელი სამხედრო დოსტაქარი ჰერბერგი და კაპიტანი პულსონი.—ამბობენ, გენერალი ცირპიცკი დაიჭრაო.—ხმებია, ტელინი აიღესო. რუსების არმიის ნაწილი გირინისკენ სცდილობს გავიდეს. პორტ-არტურიდან მოტანილმა საალყე ზარბაზნებმა დიდი ზარალი მისცა უკან დახეულ რუსებს.

სინგაპური. იაპონიის ესკადრის ორი აფიცერი ნაპირს გადმოვიდა და თავიანთ კონსულთან ითათბირა. ესკადრა ჩქარა წავა. გაზეთის კორესპონდენტმა ინახულა ადმირალის გემი, აფიცრები ძვირათ თუ ვისმეს ელაპარაკებიან. მათ კმაყოფილება გამოთქვეს მუკდენის ბრძოლის შესახებ. რა დანიშნულება აქვს ესკადრას, არ იციან; ალბად ზონდის სრუტეში წავა.

ვაშინგტონი, 2 მარტი. რუზველტმა აუკრძალა სან-ფრანცისკოში მყოფი რუსის ტრანსპორტის კერძო ვერფში გასწორება და ბრძანება გასცა „ლენა“ გასწორებულ იქნას სახაზინო ვერფში, რათა ამით თავს ავიცილოთ გემის შესაძლებელი ჩუმი გაპარვაო.

პეტერბურგი. გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე: 1. პირველი მარტი: „დღეს დილით იაპონელთ იერიშის მოგერების შემდეგ, არავითარი მოხსენება არ მოსულია. თავიანთ ნაწილთ ჩამოშორებული ჯარის-კაცები ისევ ჯარში დაბრუნდნენ. ქარავანი თითქმის მილაგდა. პირველი ხარისხის ქარავნები უმეტეს ნაწილად ჯარებს ახლავან. ჯარი საჭმლის მხრივ უზრუნველ-ყოფილია. კორპუსები მზათ არიან ახალი ბრძოლისთვის. ჯერ დაწვრილებითი მოხსენება არ მოსულა, რამდენია მოკლული, დაჭრილი, დაკარგული ან რა ზარალი ნახა არტილერიამ და ქარავანმა.“ 2. ორი მარტის თარიღით: „ჯარები დიდის წესრიგით მიდიან ტელინის ახლო.“ 3. „დავათვალიერე მეთოთხმეტე ქვეითი დივიზიის ჯარები. ისინი ყოჩაღათ არიან. ჩემს წასვლამდე ტელინიდან, ბრძოლა არ დაწყებულა. ჩრდილოეთისკენ რომ მივდიოდი, ბევრი ჯარი და ქარავანი დავინახე, რომელნიც სრულის წეს-რიგით მოდიოდნენ. დავათვალიერე აგრეთვე რუსეთიდან ახალმოსული პოლკები, რომელთაც კარგი შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზე.“

ბერლინი. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა რიხტჰოფენმა გვაცნობა, რომ პრუსიის და ბავარიის მთავრობანი არ არიან წინააღმდეგი პირობა შეკრან რუსეთთან პოლიტიკური დამნაშავების მიცემის შესახებ. უკვე ოცი წელია, რაც დამნაშავეს არ ეძლევდნენ პოლიტიკური მოსაზრებით. პირობებს ის გამოსადეგი მხარე ჰქონდა, რომ პოლიტიკური დამნაშავენი გერმანიის საზღვრებიდან მორს იჭერდნენ თავს.

პეტერბურგის ბირჟა 1 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,20
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,60
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	89¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	391½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	314½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	—
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
4% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	223

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი.

განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოებაში (სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა) იყიდება სხვა და სხვა ავეჯეულობა. დივანი, სავარძლები, სკამები, კამოდი, შკაფები, ძვირფასი სარკეები, ტრიუმო, ხალიჩები, სტოლები და სხ.—ნახვა შეიძლება დილის 10 ს.—2 საათამდის და საღამოს 5—6 ს.

ყველა ეს ნივთები წინაც იყო როინაშვილისეულს ფოტოგრაფიაში. (უ. 2—1)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—8).



СѢДЕЛЬН. СПЕЦIАЛЬН.

Безъ конкуренцiи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანიეს ახლოს. (წ·—176—202)

№ 4711

ო-დე-კოლონი

№ 4711 ო-დე-კოლონს საუცხოვო სუნნელება აქვს და ძალიან კარგად მოქმედებს. ახლა ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი კაცობრიობა.

ფერდ. მიულჰენს

რეინის კელნი

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

მოითხოვეთ ოქროსფერი ეტიკეტი.

(6—მც.—4)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი

ზ. ი. კურცხალიასი

კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა დამბენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშა



საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

ჯ0—16)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიკის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. მ. კ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივ II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენჰო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	— 20
ეხნაი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1 —



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების უკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—1)

Доз. цен. Тифлисъ, 3 Марть 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.